h 45.

№ 5

ნაგეგსი

ქვედა რეინის (გერმანია) მუშები გაფიცულ მელიორონეთა სასარგებლოთ აგროვებენ შემოწირულებებს

მაისი 1928

რემველასის
საქართ. სენტ. კომიტეტის
ყოველთვიური ორგანო

ორ კვირეული



მიმდინარე წლის მარტის 11 ლონდონში ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად მოეწყო ქალთა გრანდიოზული დემონსტრაცია, „წესრიგს“ თვალყურს ადევნებენ პოლიციელები.

ავსტრალია

რემედასის ლიტერატურის ჩამოტრთვევა

ხელისუფლების განკარგულებით სიდნეში ყველა წიგნის მაღაზიებში ჩამოართვეს რემედასის ინგლისის სექციის მიერ გამოცემული წიგნები: „მუშები ფაშისტური ტერორის ქვეშ“, კონფისკაცია შედეგად მოჰყვა ადგილობრივ იტალიელთა ფაშისტურ ორგანიზაციების მიერ შემოტანილ საპროტესტო განცხადებებს, რომლებიც ეხლა ძლიერ აღრმავებენ თავიანთ მოღვაწეობას მთელს ავსტრალიაში.



ნორჩ პიონერთა დემონსტრაცია გერმანეაში.

ბულგარეთი

პოლიტ-ემიგრანტ. მოწოდებები

სამხრეთ-სლავიაში, საფრანგეთში, ს.ს.რ. კავშირში, ოსმალეთში, ავსტრიასა და ჩეხოსლოვაკიაში მცხოვრებ ბულგარელებმა პოლიტ-ემიგრანტებმა მოწოდებით მიმართეს ბულგარეთისა და მთელი ქვეყნის მშრომელთ, რათა მოითხოვონ საყოველთაო ამნისტია მთელს ბულგარეთში. აღნიშნულ მოწოდებაში ხაზგასმით ჩამოთვლილია ყველა ის ბოროტმოქმედებანი, რომლებსაც 1926 წ. ადგილი ჰქონდა ბულგარეთში. აქვე აწერილია ის საშინელი ტანჯვა-დამცირებანი, რომელსაც განიცდიან ადგილობრივი პოლიტ-პატიმრები და მათი ოჯახის წევრები, ამავე დროს აწერილია ის ფაქტიც, რომ ადგილობრივი ხელისუფლება კრძალავს პატიმრებისადმი რაიმე დახმარების აღმოჩენას.

ჩვენ ვუცდით საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს, დარწმუნებულნი იმაში, რომ ის მხარს დაუჭერს ჩვენს მოთხოვნილებას ბულგარეთში საყოველთაო ამნისტიის გამოცხადების შესახებ და ის აიძულებს ლიაპჩევის ფაშისტურ ხელისუფლებას გააღოს თავისი საპყრობილეების რკინის კარები, რათა ჩვენ მოგვეცეს საშვალება სამშობლოში თავისუფლად დაბრუნებისა.

მარტის 25 შესრულდა ფაშისტური იტალიის არსებობის 9 წლისთავი. მუსოლინი იღებს სადღესასწაულო აღლუმს

ამერიკა

გრომადის გასამართლების წინააღმდეგ

რემედასის აღმასკომში მიღებული ცნობის თანახმად ნიუ-იორკიდან იტყობინებიან რომ იქ უკვე ჩამოყალიბებულია „პოლონეთის ფაშიზმის წინაალმდეგ მებრძოლი კომიტეტი“, რომელიც აერთიანებს ამერიკელ თვალსაჩინო ინტელიგენტიურ ძალებს.

აღნიშნულ კომიტეტის მიერ პოლონეთის მთავრობის სახელზე გადმოგზავნილია საპროტესტო ტელეგრამა გრომადის წევრების გასამართლების გამო, ამავე ტელეგრამაში ისინი სასტიკ პროტესტებს აცხადებენ ნაციონალურ უმცირესობათა დამონავების წინააღმდეგ. მეორე, სოლიდარობის ტელეგრამა გადაგზავნილია ვილონოს საპატიმროში მყოფ. გრომადის დეპუტატის ტარაშკევიჩის სახელზე. ორივე ტელეგრამას ხელს აწერენ: ეპტონ სინკლერი, ტეოდორ დებსი (აწ გარდაცვლილი, ცნობილი მუშის ევგენი დებსის ძმაა), მაქს ხეივს (მუშათა ფედერაციის ბელადი კლეველენდში), მემალაროელთა ბელადი დუნკან მაკდონალდი, ჯონ ბროფფი და ლიტერატურის, მხატვრობისა და საერთოდ ხელოვნების მთელი რიგი თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ინდოეთი

სიცხლიანი აბანოები კალკუტაში

მარტის უკანასკნელ რიცხვებში კალკუტაში გაიმართა ადგილობრივ სხვადასხვა წარმოებებში გაფიცულ მუშათა უდიდესი დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 7.000 მეტი კაცი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დემონსტრაცია ატარებდა წმინდა ეკონომიურ ხასიათს, მოითხოვდა ხელფასის მომატებას და სხვა. დემონსტრანტებს დაერიენ გამხეცებული ინგლისელი ჯარისკაცები, რომლებიც განუკითხავად ესროდენ გამოსულ მუშათა ჯგუფებს. დაჭრილია რამდენიმე ათეული მუშა, ინგლისის ხელისუფლების მიერ კალკუტაში გამოწვეულია ახალი დამხმარე ჯარის ნაწილები.

საფრანგეთი

გრომადის წევრების გასამართლების საპროტესტოდ

პოლონეთში ამნისტიისათვის მებრძოლ პარიზელ კომიტეტის მიერ ვარშავაში მარშალ პილსუდსკის სახელზე გადაგზავნილია შემდეგი შინაარსის ტელეგრამა:

— „ათასი, სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელი ფრანგები, ადამიანისა და მოქალაქის უფლების დაცვისათვის მოითხოვდენ შეწყვიტოთ გრომადის პროცესი და გამოაცხადოთ ყველა პოლიტ-პატიმართა ამნისტია“.



ცოლი და ქმარი, ჩინეთის კომპარტიის წევრები, დახვრიტეს პოლიციელებმა დაპატიმრებიდან 30 წუთის შემდეგ.

363(∞)(05)
ห 43.
640.

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 5

მაისი

∞ 1928 ∞

რემედა

რემედასის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური ორგანო

რედაქციის მისამართი:
ტფილისი, ლენინის ქ., № 29, II-რე სართ.

∞ ტელ. 9-78 ∞

რემედასის მეორე ყრილობა

რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის ისტორიაში მიუცილებლად აღსანიშნავია რემედასის II ყრილობა. ამ ყრილობის მნიშვნელობა იმაში გამოიხატა, რომ მან უმთავრესად ხაზი გაუსვა განვლილი ხუთი წლის მოღვაწეობას, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე კერძოთ საქართველოში და საერთოდ ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში.

რემედასმა თავისი მოღვაწეობის ხუთი წლის განმავლობაში შესძლო მტკიცე რიგებად დაერაზმა 4 მილიონამდე მშრომელი, რომლებიც აქტიურად ხელს უწყობენ საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის წითელი ზურგის განმტკიცებას. დღეს დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი მივარდნილი კუთხე, სადაც აშკარად თუ ფარულად არ მოღვაწეობდენ რემედასის ორგანიზაციები.

რემედასის ყრილობა მოწვეული იქნა, ამ ორგანიზაციის არსებობის ხუთი წლის თავზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იყო მარტოოდენი სადღესასწაულო შეკრება, არამედ ყრილობის ყოველი დელეგატი სრული პასუხისმგებლობით ილებდა მონაწილეობას ჩვენი ორგანიზაციების, როგორც წარსულ მუშაობის შეფასებაში, ისე მომავალ სამუშაო გეგმის დასახვაში.

კულტურულ რევოლიუციისა და უდიდეს სოციალისტურ აღმშენებლობის ხანაში განუსაზღვრელია საზოგადოებრივი, ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მოღვაწეობა, ვინაიდან ესენი ხელს უწყობენ საზოგადოებრივი ფენების ჩამოყალიბებასა და ერთი დროშის ქვეშ მჭიდროდ დარაზმვას.

დოებრივი ფენების ჩამოყალიბებასა და ერთი დროშის ქვეშ მჭიდროდ დარაზმვას.

რემედასი, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, დიდ აქტივობას იჩენს ამ მხრივ, ის ანხორციელებს მშრომელ მასების ინტერნაციონალურად აღზრდას. უნდა განვაცხადოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ რემედასს თავისუფალი სამოქმედო ასპარეზი აქვს გადაშლილი საბჭოთა კავშირში, ჩვენს წინაშე წამოჭრილი ყველა საკითხები ჯერ კიდევ სათანადოთ ვერ არის გადაჭრილი.

როგორც ამავე ჟურნალში მოთავსებულ რეზოლიუციიდან სჩანს, ყრილობამ აღნიშნა რემედასის ცენტრალურ კომიტეტის მუშაობაში შემჩნეული ნაწილობრივი მიღწევები უკანასკნელ ხანებში, მაგრამ ამის პარალელურად ხაზგასმით აღნიშნულია შემჩნეული დეფექტებიც, რომლებიც ჩვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს ჯეროვანი პასუხის გაცემას.

რემედასის ორგანიზაციების წინაშე გადაუდებელ ამოცანად სდგას: ჩამოუყალიბებელ საზოგადოებრივ ფენების დარაზმვა, ინტერნაციონალურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაჩაღება მუშათა, გლეხთა, მშრომელ ქალთა და ახალგაზრდათა შორის. რემედასის ყოველდღიურ მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნეს მშრომელი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. რაც შეიძლება გადიდებული უნდა იქნეს წევრთა რაოდენობა, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს მათ შორის აღმზრდელობითი მუშაობის წარმოებაც, რაც მთავარია კაპიტალის პატიმართა ზურგის გამაგრების საქმეში.

შეუძლებელია ჩვენი ორგანიზაციების მოღვაწეობის განსაზღვრა მარტო საწევრო ანარიცხების აკრეფით, თუმც სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ აქაც მოიკოჭლებენ ჩვენი ორგანიზაციები. დღემდის ადგილებზე მომუშავე ამხანაგები ამას ვერ ექცეოდენ სათანადო ყურადღებით.

ყრილობამ სხვა მრავალ ნაკლთან ერთად აღნიშნა ის გარემოებაც, რომ ადგილებზე პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები ვერ უწევენ სათანადო დახმარებას რემედასს თავისი მოღვაწეობის დასაგვირგვინებლად, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ სათანადო ორგანოების მიერ ეს ნაკლიც იქნება გამოსწორებული ახლო მომავალში.

რემედასის ყოველი წევრი აქტიურად უნდა ჩაებას ამ საერთაშორისო ოქტომბრის წითელი ზურგის განმტკიცებაში, ჩვენ უნდა ვაგრძნობინოთ კაპიტალის საპყრობილეებში მოქცეულ პატიმრებს, რომ ისინი მარტონი არ არიან, არამედ ჩვენც მათთან ვართ.

ყრილობამ სათანადოთ განიხილა ყველა ის საჭირბოროტო საკითხები, რომელიც ყურადღებას იქცევს რემედასის საქმიანობაში; მიღწევების აღნიშვნასთან ერთად დასახა ახალი სამოქმედო გეგმები, ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, მშრომელი გლეხკაცობა და მშრომელი ინტელიგენცია ხელი-ხელ ჩაკიდებულნი სისრულეში მოიყვანენ ყრილობის ყველა გადაწყვეტილებებს.

პირველი მაისის დღესასწაული ინგლისში

მიმდინარე წლის პირველი მაისი აღნიშნულ იქნება ინგლისის მუშათა მოძრაობის ისტორიაში. იგი დარჩება სადემარკაციო ხაზათ, სადაც მოხდა მუშათა მოძრაობის დაშორება რეფორმისტ-ბელადებისაგან და მიმართა კომუნისტური პარტიისაკენ.

ეს განვითარება გარდაუვალი აუცილებლობით მოხდა, არა თუ რევოლიუციონური მასებისათვის, იმ ელემენტებისათვისაც კი, რომელთაც შეგნებული აქვთ კლასთა ბრძოლა, აუტანელი გახდა მუშათა პარტიისა და ტრედუნიონების მთავარი საბჭოს ბელადების წინამძღოლობა, იმიტომ რომ ეს უკანასკნელი შინ გათიშვისა და შუღლის პოლიტიკას აწარმოებენ, ხოლო კაპიტალიზმის მიმართ დახევისა ან თანამშრომლობისას. თავისთავად ცხადია, რომ ადამიანებს, რომელნიც ყოველ კვირაში პატრონებთან ერთად შეთქმულებას აწყობენ ხელფეხშეკრული მუშათა მოძრაობის კაპიტალიზმზე გადასაცემათ, არ ძალუძთ იმ მასებში ჩაერიონ, რომელნიც ბრძოლის ყიჟინით გამოდიან კაპიტალიზმის წინააღმდეგ. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ სიტრინიც იმ ტრიბუნიდან ლაპარაკობდეს, საიდანაც პოლიტის ხმა გაისმის.

თავისი გამცემლობის დასაგვირგვინებლათ მუშათა პარტიის და პროფკავშირების მთავარი საბჭოს ბელადებმა უარჰყვეს მუშათა მოძრაობის ტრადიცია და მოსპეს პირველი მაისის დღესასწაული, რომელიც ყოველთვის საერთაშორისო სოლიდარობის და კლასობრივი ბრძოლის გამოხატულებათ ითვლებოდა, მათ სამარცხვინო გადაწყვეტილება მიიღეს, პირველი მაისი, კვირა დღით უნდა „ედღესასწაულათ“. ეს გადაწყვეტილება ახალი გამარჯვებაა უკიდურესი ოპორტუნისტული ჯგუფისა, კვირა დღით რამდენიმე მიტინგის ვამართვა არც გაფიცვებს მოითხოვს არც მუშაობის შეჩერებას, არც პატრონებს აყენებს რაიმე ზიანს. ამას გარდა, დემონსტრაცია სრულიად ჰკარგავს ბრძოლის ხასიათს. რევოლიუციონურ ხასიათს და იქცევა მშვიდობიან „პარადათ“, საკვირაო დროის გატარებათ წირვის შემდეგ.

ბავშთა უდიდესი დემონსტრაცია ინგლისში.

მაგრამ ჩვენ მაინც არ ვნანობთ. იმის გამო, რომ რეფორმისტების ბელადებმა ერთხელ კიდევ ისეთი ვერაგული აქტი ჩაიდინეს, რომელიც გააოცებს თვით უზომიერეს მუშებს. იმის შედეგი იყო ის, რომ პირველი მაისის

საფრანგეთიდან ახალ კალედონიაში გადასახლებულ პატიმართა ერთი ჯგუფი. პატიმრებს მისჯილი აქვთ საკატორღო მუშაობა

დღესწაულს კომუნისტურმა პარტიამ, კომუნისტურმა ახალგაზრდობამ და მუშათა პარტიის და ტრედუნიონების მემარცხენე ფრამ წმინდა მუშური და რევოლიუციონური ხასიათი მისცეს, 1928 წლის პირველი მაისი მაინც „ქუჩის“ დღესასწაულათ დარჩა. ჰაიდ პარკი მასების ხელში დარჩა, მაშინ, როცა რეფორმისტების და წვრილი ბურჟუების ბელადები დარბაზებში ლაყბობდნენ, ნახევრათ დამალულნი.

და იცით რა განმარტებანი, მოგვცა მუშათა პარტიის ლონდონის ორგანიზაციის მდივანმა რეაქციონერმა მორისონმა? გამოაშკარავდა, რომ კვირა დღის მანიფესტაციები უფრო გავლენიანი ყოფილანო, ამბობს იგი.

რეფორმისტ-ბელადების დაუსწრებლობით ოპოზიციამ დიდი რელიეფი მისცა მუშათა დღესასწაულს. ლონდონში ათიდან თუთხმეტ ათასამდე მუშა შეიკრიბა და „ინტერნაციონალის“, „წითელი არმიის მარშით“ და სხვა რევოლიუციონური სიმღერებით გაიარა ვესტენდის მდიდარი უბნები და ჰაიდ პარკის დიდი ხეივნებში გაჩერდა. ამართული იყო ათი ტრიბუნა, საიდანაც კომუნისტური პარტიის, უმცირესობის მოძრაობის, კომუნისტური ახალგაზრდობის და მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის ორატორებმა მკაცრი სიტყვებით გაჰკიცხეს მოღალატეობა რეფორმისტ-ბელადებისა, რომელნიც შეუკავშირდნენ ბოლდუინის მთავრობას და იმპერიალისტებს, რათა მუშათა კლასი მოსდრიკონ ჩინეთში, ეგვიპტეში, კო-

მაქსიმ გორკი

(მოკლე ბიოგრაფია)

ცნობილი რუსი მწერალი გორკი 1868 დაიბადა ქალაქ ნიჟნი-ნოვგოროდში. ალექსის მამა ხელოსანი იყო, დედა კი ვაჭრის შვილი. 1873 წელს პატარა ალექსი ხოლერით გახდა ავად. შემდეგ ეს სენი მამას გადაედო, რომელიც იმსხვერპლა კიდეც. მამის სიკვდილს შემდეგ დედა მალე გათხოვდა და პატარა ალექსი მეტად ძუნწ ვაჭარ ბაბუასთან დარჩა. წერაკითხვა გორკიმ ბაბუასაგან ისწავლა, რომელმაც ანბანის შემდეგ ფსალმუნი მისცა. ალექსი 7 წლისა იყო, როდესაც სკოლაში მიაბარეს. სწორედ ამ ხანებში გარდაეცვალა დედა, ბაბუა გაკოტრდა და პატარა ალექსი სკოლიდან გამოიყვანეს. ბაბუას გარდა მას არავინ ჰყავდა, რომ დახმარება გაეწია. ალექსის ბიძები მთელ დღეებს ლოთობაში ატარებდენ და ბავშის აღზრდაზე სრულებითაც არ ფიქრობდენ. პირველად ალექსი ფეხსაცმელის მაღაზიაში მიაბარეს ბიჭათ, შემდეგ მხატვარს მისცეს შეგირდად, მაგრამ ოსტატები იმდენად მკაცრი აღმოჩნდენ, რომ ვორკიმ ვერსად ვერ გასძლო და იძულებული იყო თავი გაენებებინა. ამის შემდეგ ალექსი მზარეულს მიაბარეს, რომელმაც მასზე დიდი გავლენა მოახდინა იმ მხრივ, რომ წიგნის კითხვა შეაყვარა.

„ჩემი ცხოვრების ამ დღიდან დავიწყე კითხვა ყველაფრის, რაც კი ხელში ჩამივარდებოდა“, —სწერს გორკი თავის ავტობიოგრაფიაში.

მალე გორკი ისევ ძველ მხატვარს უბრუნდება, შემდეგ დარაჯად შედის ცარიცინის რკინის გზაზე. ხშირად გორკი პატარა ვაჭრობასაც მისდევდა, ჰყიდდა ვაშლსა და ქათმებს. 1890 წელს მან დაიწყო მოგზაურობა, ინახულა ძველი რუსეთის იმპერიის მნიშვნელოვანი ადგილები და ბოლოს კი ტფილისშიც ამოჰყო თავი.

მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი

(90-იან წლების მიწურულში)

ტფილისმა გორკის ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის სოციალური წრე, რომელშიაც გორკი პატარაობიდანვე ტრიალებდა, ბოსია-

წითელი ფრონტელებისა და მშრომელ ქალთა მიერ, მარტის ამბების მოსაგონარად გამართული სამგლოვიარო დემონსტრაცია.

ლონიებში, ინდოეთში, და თვით ინგლისშიაც, კი, ყოველივე ეს ორატორებმა ნათლათაც გამოსთქვეს და სათანადო ფაქტებითაც დაამტკიცეს. რეფორმისტების ბელადებს არაფერი გაუკეთებიან ფაშისტების წინააღმდეგ მაშინ როცა ისინი აქტიურათ თანამშრომლობენ მუშათა კლასის მტრებთად. იმათ არაფერი გაუკეთებიათ პოლიტიკური ტუსაღების ამნისტიისათვის, ამავე დროს კი ამართლებენ ჩინეთში წარმოებულ ხოცვა-ჟლეტას. რა გააკეთეს მათ 8 საათის სამუშაო დღისათვის? არაფერი! აკრძალულია ამაზე ლაპარაკი, ამას ინდუსტრიის აღდგენის ინტერესები მოითხოვსო“ დასძენენ ისინი.

საუცხოო დღე იყო 1928 წლის პირველი მაისი. მართალია, მონაწილე მასსების რიცხვი წრეულს ნაკლები იყო ვიდრე წარსულ წელში, მაგრამ 10—15 ათასი მუშა, რომელთაც ჰაიდ პარკში ბრძოლის ნებისყოფა გამოაშკარავეს კაპიტალიზმისა და მისი რეფორმისტ-დამქაშების წინააღმდეგ, მუშათა კლასის ნამდვილს ავანგარდს წარმოადგენენ და ეს ავანგარდი ბოლოს მაინც გაიმარჯვებს. რა დაბრკოლებაც არ უნდა აღუმართონ მას რეფორმისტების ბელადებმა.

იმ დროს, როცა პოლიციის მნიშვნელოვანი ნაწილები დიდი პარკის გამოსავალ კარებში იყო თავმოყრილი და ინტერნაციონალი გუგუნებდა,—ხდებოდა მუშათა თავდაცვის რაზმების ძალოა შემოწმება.

კ. დავიდ.

კური წრე იყო, ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ გორკიმ ადესის ნავსადგურს მიაშურა, სადაც აუარებელი ბოსიაკი იყო. აქ მან დიდხანს დაჰყო, ეზიდებოდა ბარგს, ცხოვრობდა ბოსიაკებთან და უკვირდებოდა მათი ყოფაცხოვრების დამახასიათებელ მომენტებს. გორკიმ თავის შემოქმედების განსაზღვრულ პერიოდში ბოსიაკები გამოიყენა არსებული წყობილების წინააღმდეგ სასტიკი პროტესტისათვის.

1891 წელს ალექსი პეშკოვი ტფილისში ჩამოვიდა.

ქალაქში ჩამოსვლისთანავე პეშკოვს, როგორც მოჩხუბართა გამშველებელს, პოლიცია აპატიმრებს. პოლიციის შეკითხვაზე, თუ „ვინ იცნობს მას ტფილისში?“ ალექსი ასახელებს თავის ნაცნობ ნაჩალოვს, რომელიც რკინის გზაზე მსახურობდა. ნაჩალოვმა დაადასტურა ალექსის ნაცნობობა და მას კანტორის მოხელის ადგილიც უშოვნა რკინის გზაზე.

1891 წელს გორკიმ გაიცნო აფანასიევი და როხლინი და სამივე ერთად ცხოვრობდენ კვირაცხოვლის ქუჩაზე.

ამ ბინაზე იმართებოდა პატარა კომუნის საღამოები, კითხულობდენ წიგნებს და არჩევდენ სხვადასხვა საკითხებს. ამავე საღამოზე კომუნაში გაერთიანებული მოსწავლე ახალგაზრდობა და მოწინავე მუშები ისმენდენ გორკის საკუთარ შთაბეჭდილებებს მოთხრობების სახით. გორკის აზრადაც არ მოსვლია ამხანაგებთან ნაამბობის ჩაწერა. ის გატაცებული იყო პოეზიით და სწერდა ლექსებს. სწორეთ ამ კომუნის საქმეებზე გორკის 1898 წელს აპატიმრებს ნოვგოროდის ჟანდარმერია და გზავნის ტფილისში. 1892 წლის დამდეგს კომუნა ფაქტიურად დაიშალა. მოსწავლე ახალგაზრდობამ სწავლა დაამთავრა, ხოლო როხლინი და აფანასიევიც სხვა ბინაზე გადავიდენ. ტფილისში გორკიმ გაიცნო პოლიტიკური კატორღელი კალუჟნი, რომელიც სტატისტიკოსად იყო რკინის გზის სამმართველოში. კომუნის დაშლის შემდეგ მაქსიმე კალუჟნის ბინაზე გადადის. კალუჟნის კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა. გორკიმ იწყო ამ ბიბლიოთეკით სარგებლობა, ჩაუჯდა კითხვას და მიზნად დაისახა სისტემატიური მეცადინეობით გიმნაზიის კურსი ჩაებარებინა. ამ განზრახვას ის კალუჟნის ატყობინებს, მაგრამ კალუჟნი დაჟინებით სთხოვს მას თავი გაანებოს ყოველივე ამას და ჩასწეროს ყოველივე, რასაც თვითონ მოუთხრობდა. კალუჟნის რჩევამ გასჭრა და 1892 წლის „კავკაზ“-ის № 242-ში დაიბეჭდა გორკის პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“.

ამ დღიდან ბოსიაკი ალექსი პეშკოვი ტფილისში ნწერალ მ. გორკად იქცა.



მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი

(უკანასკნელი სურათი)

„პირველი ჩემი მასწავლებელი იყო მზარეული ჯარისკაცი სმური, მეორე ვექილი ლანინი, მესამე—კალუჟნი, კაცი „საზოგადოების გარეშე“, მეოთხე —კოროლენკო“,—ასე ამბობს გორკი.

გორკი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველ პერიოდში გვაძლევს ბოსიაკური ფსიქოლოგიის ასახვას. ასეთი შინაარსისაა მისი მოთხრობები: „ბავშობა“, „მოჯამაგირეობა“, „ჩემი უნივერსიტეტები.“

მეორე პერიოდს ეკუთვნის: „თომა გორდეევი“, „სამნი“, „ქალაქი ოკუროვი“, „მათე კოჟემიაკინი“. მესამეს: „არტამონოვების საქმე“ და „ბარბაროსები“. მეოთხეს: „მოაგარაკენი“ და მეხუთეს კი: „მტრები“, რომანი „დედა“, „ზაფხული“ და „აღსარება“. გორკი არა მარტო მწერალი, არამედ საზოგადო მოღვაწეც არის. 1901 წელს შედის რ. ს.-დ. მუშათა პარტიაში. პარტიაში განხეთქილების შემდეგის ბოლშევიკების მხარეზეა. 1907 წელს ესწრება ლონდონის ყრილობას, როგორც დელეგატი. ტაქტიკურ საკითხებში გორკი ხშირად მერყეობას იჩენდა. პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ ის ბოგდანოვის მხარეზე გადადის. 1906 წლიდან 1914 წლამდე იძულებულია საზღვარგარეთ იცხოვროს. მერყეობს გორკი ოქტომბრის დღეებშიაც, მაგრამ მისი უკანასკნელი წერილი, რომელიც დაბეჭდა „Накануне“-ში, შემდეგს გვაუწყებს: „ხმებს ავრცელებენ, თითქოს მე შემეცვალოს ჩემი დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებასთან. საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო შემდეგი: საბჭოთა ხელისუფლება ჩემთვის წარმოადგენს ერთად-ერთ ძალას, რომელსაც შეუძლია დასძლიოს რუსი ხალხის ინერცია და აამოძრაოს მისი ენერგია ცხოვრების უფრო სამართლიანი და უფრო გონიერი ფორმების შესაქმნელად.“

ასეთია გორკის უკანასკნელი აზრი საბჭოთა ხელისუფლების შესახებ.

ა. ე.

გ რ ი გ ა ლ ა ს ს ი მ ღ ე რ ა

ქაფ-მორეულსა ზღვის ზედაპირზე მძლავრად დაჰბერა ქარმა-გრიგალმა. ცა შეიქმუხნა, მოსკდა ღრუბელი, ჩამოაბნელა მთლად არე-მარე. ცის და ზღვას შუა, ვითარცა ელვა, ლაღად, უშიშრად, დაჰქრის, ნავარდობს, ქარიშხალისა მახარობელი — მარდი გრიგალა. ხან ფრთით ეხება იგი ზღვის ტალღას, ხან ისარივით ის ავარდება მაღლა, ღრუბლებში. მამაცად ყივის და ამ ყივილში ღრუბლებს მოესმით ხმა სიხარულის, ხმა იმედისა მომავლისადმი... ამ მძლავრ ყივილში გამოიხატვის მამაც ფრინველის სიხარული და აღტაცება — წყურვილი ბრძოლის.

შეშფოთდენ ტიფნი, ჰკვნესენ, დაძრწიან შეშინებულნი ზღვის ზედაპირზე და მზად არიან გადაიმალონ, ჩაძვრენ ზღვის ფსკერში, ოღონდ თვის შიში და შეძრწუნება ამდგარ ქარიშხალს არ დაანახონ.

ჰკვნესენ, შფოთავენ ტყისა ქათმები, — ამ მშიშარ ფრინველთ ნეტარი ბრძოლის არ აქვთ შეგნება... ჩასუქებულმა მშიშარა იხვმაც ძლივს შეაფარა თავი კლდის ნაპრალს... მხოლოდ ამაყი იგი გრიგალა დაჰქრის თამამად, ზღვას აღშფოთებულს, ჭალარა შერთულს თავს დასტრიალებს... ზღვა შფოთავს, ღელავს... აგორებული მისი ტალღები ღრუბლებს სწვდებიან, ქუხილს ელიან...

გერმანელი წითელფრონტელები ემზადებიან სადემონსტრაციოდ

დასჭექ - დაჰქუხა... ტალღები ზღვისა მრისხანედ ჰკვნესენ, ქარიშხალს ედავებიან...

აგერ დახვია გრიგალმა ხელი ტალღათა კრებას, რაღაც სიბრაზით ამართულ სალ კლდეს მთელი ძალ-ღონით ის მიანარცხა. უზარმაზარი ზღვისა ტალღები პატარ-პატარა წინწკლებად და მტვრად გადააქცია...

გრიგალა ყივის. ჰაერში დაჰქრის, ვითარცა ელვა... როგორც ისარი აპობს შავ ღრუბლებს, თვის მძლავრი ფრთებით ტალღებს ჰხდის ქაფსა.

დაჰქრის, დაჰყივის, როგორც დემონი, შავი დემონი — და ხან ცრემლს აფრქვევს, ხან კი — იცინის.

დასცინის ღრუბლებს. ხოლო ცრემლს აფრქვევს სიხარულისგან... ჭექა-ქუხილის მრისხანებაში დიდი ხანია ფრინველს მოესმის დაქანცულობაა... და სწამს — მზის სხივებს ვერ შეაჩერებს შავი ღრუბელი... ვერ შეაჩერებს!!.

ქარი გრიალებს... ცა — სჭექს, ჰქუხს, გრგვინავს, ზეციდან სცვივა ცეცხლის ისრები!..

მალე აღსდგება, მალე აღსდგება აწ ქარიშხალი!..

აგერ შეხედეთ — შავ ღრუბელთ შორის ელვა-ჭექაში უშიშრად დაჰქრის, ზღვას აღშფოთებულს თავს დასტრიალებს და შეუპოვრად ყივის გრიგალა — მახარობელი ქარიშხალისა:

„დე, იგრიალოს, მედგრად, მრისხანედ აწ ქარიშხალმა“!!.

შ ე ვ ა რ დ ე ნ ი ს ს ი მ ღ ე რ ა

(ლექსი პროზად)

მაღლა, შორს, მთებში, ნესტიან ხევში აცოცებული — ანკარა იწვა და დახვეული, როგორც გორგალი — ზღვასა მშფოთარეს დასჩერებოდა.

მზე ანათებდა მაღლა სივრცეში და მთები სიცხით სუნთქავდენ ცაში... ძირს კი ტალღები — ნაპირებს სცემდენ... და იმ ბნელ ხევში ზღვისკენ მიჰქროდა გიჟურ ზვირთებად მჩქეფი ნაკადი.

ქაფ-მორეული, გაჯავრებული — ღმუოდა იგი მძლავრი, მედგარი; კლდე-ღრეს ანგრევდა, გზას იკაფავდა, მიხტოდა სწრაფად და ზღვას ერთოდა.

ანაზდეულად, სწორედ იმ ხევში, სადაც ანკარა ნებიერობდა, გულგანგმირული, ფრთა - სისხლიანი, ძირს ჩამოვარდა იქ შევარდენი...

ოდნავ შეჰკივლა, რა დაეცა იგი მიწაზე. თან უილაჯო მრისხანებით დაჭრილ მკერდს სცემდა კლდის ნაპრალებზე.

ანკარა შეკრთა. შეშინებული გაცოცდა გვერდზე. მაგრამ რა მიხვდა, შევარდენი საბედისწეროდ არის დაჭრილი, მიხოხდა ახლოს და სისინით შეეკითხა მომაკვდავ ფრინველს:

— რა არის? კვდები?

— ჰო, ვკვდები! — უთხრა მას შევარდენმა და ერთი მწარედ ამოიოხრა. — კარგად ვცხოვრობდი!.. მე ვნახე ზეცა... შენ ვერა ნახავ მას ისე ახლო!..

— ეხ, შე საბრალო!.. რა არის ზეცა? — უბრალო სივრცე... როგორ ვიხოხო მე იმ სივრცეში? აქ კარგადა ვარ... თბილი ჰაერი, ნოტიო მიწა!.. სხვა რაღა მინდა! ეს უპასუხა ანკარამ ფრინველს თავისუფალსა, და სასაცილოდ არა ჰყოფნიდა შევარდნის ბოდვა... აქ შევარდენმა შეიფრთხიალა, წამოიწია და გარეშემო მიმოავლო ამაყი თვალი.

იქვე კლდე იყო. ჟონავდა წყალი. ჰაერიც იყო შეგუბებული. რაღაც სიდამპლის და შმორის სუნი იდგა იმ ხევში. გულ-განგმირულმა შევარდენმა უკანასკნელად შემოიკრიბა თავის ძალ-ღონე და ეს წარმოსთქვა მწუხარებით:

— ნეტავი ერთხელ, მხოლოდ ერთხელ ზე აღმაფრინა!.. ვეკვეთებოდი შეუპოვრად უძლიერეს მტერს. დაკოდილ გულზე მივიკრავდი მას დაუნდობრად და ჩემი სისხლით, მჩქეფარე სისხლით მსწრაფლ დავახრჩობდი!.. ოხ, ბრძოლავ! ბრძოლავ! ჩემო იმედო! შენ, ერთად ერთო ბედნიერებავ ჩემის სიცოცხლის!

გაკვირვებული ყურს უგდებდა ანკარა კვნესას შევარდენისას. „ალბად იქ, ცაში მართლა კარგია, — გაიფიქრა მან, — და ეს ურჩია მომაკვდავ ფრინველს:

— ხევის ნაპირას, სცადე, მიფოფხდი!.. ძირს გადაეშვი! ეგებ, როგორმე, გიშველოს ფრთებმა! და შენი ბრძოლის სტიქიონში, თუ დიდხანს არა — სულ ცოტა ხნობით მაინც, — იცოცხლებ“.

ანკარას რჩევამ ჟრჟოლა მოგვარა საწყალ შევარდენს... მედგრად შესძახა და მიაშურა ხრამს გადასავარდნს. კლანჭი უსხლტოდა მოლიპულ ქვებზე. ძლივს, როგორც იყო, მიცოცდა ხრამთან, ფრთა გაისწორა, შემოიკრიბა უკანასკნელი თავის ძალღონე და უფსკრულისკენ გადააერია... ველარ შველოდა, ოდესღაც მძლავრი, თავისი ფრთები, ხან ერთ გამოწვდილ კლდეს ეხლებოდა, ხან კი მეორეს... ბოლოს, მომაკვდავს ნაკადულისა მოასწრო ტალღამ. თვისკენ მიიგდო. სისხლით მოსვრილი გაბან-გაწმინდა. გახვია ქაფში და შევარდენი ზღვისკენ წაიღო. ზღვა-კი — შფოთავდა. გულ-შესაზარი მძლავრი ღრიალით მისი ტალღები კლდეს ეხლებოდენ... შევარდენი კი — ზღვის სივრცეში აღარსად სჩანდა.

II

მოკვდა ფრინველი. დიდხანს ფიქრობდა ანკარა, დიდხანს იმის სიკვდილზე და მის ზეცისკენ მისწრაფებაზე. ბოლოს, ასწია ზევითკენ თავი და რა იხილა ლაჟვარდის ფერი, ალერსიანი ცა უკიდური, — ეს გაიფიქრა: „ნეტავ ვიცოდე — რა ნახა იმან სახიბლავი იმ უდაბნოში?!.. თვის ოცნებებით აღმაფრენაზე რისთვის გვხიბლავენ? რისთვის გვირღვევენ მყუდრო ცხოვრებას?!. მოდი მეცა ვსცდი — ზე აავფრინდები! სულ ცოტა ხნობით შევინავარდებ და ყველაფერსაც მაშინ გავიგებ“! სთქვა — აღასრულა. მთლად შეიკუმშა, ბეჭდის ოდენათ ის გადაიქცა, ავარდა ზევით და მზის სხივებზე ვიწრო ზოლივით, მან გაიელვა.

მაგრამ ანკარას სულ დაავიწყდა ერთი მცირედი გარემოება: ქვემძრომად შობილს არ ძალუძს ფრენა... ძირს ჩამოვარდა. ქვებზე დაეცა. მაგრამ უვნებლად გადარჩა იგი და გულიანად გადიხარხარა...

— მაშ ამაშია აღმაფრენის სიმშვენიერე — ერთს ავარდები და იმავ წუთს ძირს დაეცემი! რა სასაცილო რამა ყოფილან ეს ფრინველები! სულ არ იცნობენ ისინი მიწას. რაღაცას სწუხან. მაღლა მიილტვის მათი გონება. იმ ცარიელს და უყრდნობ სივრცეში უნდათ სიცოცხლე... იქ კი რა არის? უნიადაგო რაღაც ჰაერი... იქ, მართალია, არის სინათლე. მაგრამ რას ვარგა მარტო სინათლე, თუ ცოცხალ სხეულს არა აქვს საზრდო!.. მარტო სინათლე უნიადაგოთ?!! ნეტავ ვიცოდე — რას ამაყობენ? რას ნიშნავს მათი საყვედურები?.. ალბად მათა სურთ ამით დაფარონ მთლად სულელური მისწრაფებანი, დაფარონ თვისი უვარგისობა დედამიწაზე ცხოვრებისათვის! „ოხ, სასაცილოა ეს ფრინველები!! ვერ შემაცდენენ შემდეგ მე მათი ცხელი სიტყვები!.. გავიგე ეხლა მე ყველაფერი... მე ვნახე ზეცა. კიდეც ავფრინდი... გავზომე კიდეც... ძირს ჩამოარდი... არ დავიმტვერი, მხოლოდ გავმაგრდი. ჩემი თავისა რწმენა მას შემდეგ უფრო მემატა. ვისაც არ უყვარს ეს დედამიწა — დე, იოცნებონ! ატყუილონ თავიანთი თავი!.. მე კი.. მე ვიცი სად არს ეხლა სიმართლე. ყურს არ დავუგდებ მათ ცხელ-ცხელ სიტყვებს, არ დავიჯერებ აწ არაფერსა. მიწის შექმნილი — მიწით ვსულდგმულობ“.

და რა სთქვა ესა, მთლად შეიკუმშა და გაწვა ქვაზე თავმომწონებით.



გერმანიის კომკავშირელები სადღესასწაულო დემონსტრაციაზე

ზღვა ლაპლაპებდა, მისი ტალღები მხეცურ ღრიალით ნაპირებს სცემდენ, ემუქრებოდენ... იმათ ღრიალში გამოისმოდა მედიდური რამ ხმა სიმღერისა ამაყ ფრინველზე... მთა ირყეოდა ტალღების ცემით. ზეცა კი — იმ ხმით მედიდურითა... თითქოს ასმენდა ქვეყნიერებას.

— თავგანწირულთა უგუნურობას ჩვენ ვუგალობებთ ქებათა ქებას!

თავგანწირულთა — აი რაშია სიცოცხლის აზრი!.. ოჰ, შევარდენო, მამაცო, კარგო! მტერთან ბრძოლაში მთლად დაიცალე შენ სისხლისაგან! მაგრამ მოვა დრო, როს დაქცეული სისხლის წვეთები შენი, ფრინველო, უცბად იქცეთქენ სიბნელით მოცულ ამ ქვეყანაში და აუნთებენ გულს შენებრ მამაცთ თავისუფლების და სიმართლის მოსაპოებლად.

მოკვდი, ფრინველო, მაგრამ რა უყოთ! — შენებრ მამაცნი, სულით ძლიერნი გიმღერენ ქებათა ქებას... თავგანწირული შენი ბრძოლა, გმირული ქცევა — სამაგალითო იქნება სხვისთვის. და მიხვდებიან შენსავით გმირნი, თუ როგორ უნდა სიმართლისთვის ბრძოლა, სიკვდილი!...

თავგანწირულთა უგუნურობას ჩვენ ვუგალობებთ ქებათა-ქებას!..

უ დ ი დ ე ს ი უ ს ა მ ა რ ლ ო ბ ა

(ბელორუსიის გრომადის გასამართლება)

ამ დინარე წლის 12, ვილნოში განახლდა გრომადის პირველი ჯგუფის გასამართლების პროცესი.

სასამართლოს წინ წარსდგა მთელი რიგი ბრალდებისა და დაცვის მოწმეები. აქ ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ გამომჟღავნდა სასამართლოს დამოკიდებულება მათდამი. თუ კი ბრალდების მოწმეები კეთილმეგობრულ განწყობილებაში არიან სასამართლოს წევრებთან, პროკურორსა და თავმჯდომარესთან, სამაგიეროდ დაცვის მოწმეები მეტად ცუდ განწყობილებაში არიან ამ უკანასკნელთან. ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ გამოამჟღავნა ეს ბელორუსიის სენატორის ბუდანოვიჩისა **და გრომადის** ტეხნიკურ მუშაკის ბლაზნიანსკის დაკითხვამ. პროკურორი ისეთ შეკითხვებს აძლევს მათ, რომელიც ჩირქს სცხებს გრომადას. პროკურორი მეტად დაინტერესებით ეკითხება ებრაელს ბლიზიანსკის, თუ რამ აიძულა ის წასულიყო ბელორუსიის აჯანყების მხარეზე.

ამ შეკითხვით, როგორცა სჩანს პროკურორს სურდა დაემტკიცებინა გრომადის ერთ-ერთი „სპეცის“—განცხადება იმის შესახებ, რომ გრომადა უფრო „ინტერნაციონალურია—ვინემ ნაციონალური“. მაგრამ ეს ცდაც უნაყოფოდ დაეკარგა პროკურორს. ბლიზნიანსკიმ განაცხადა, რომ ის თავისუფალი მოაზროვნეა, ის სწავლობდა ბელორუსიის სკოლაში, შეეზარდა ამ ერის კულტურას, ამიტომ ის ყველაზე უფრო ახლოს ამ ერთან გრძნობს თავს.



საპყრობილე ლეიპციგში (გერმანია)

აქ ვერ გაუმართლდა პროკურორს მისი საკუთარი მოწმეებით. ამ მოწმეთა ჯგუფის დაყოფა შეიძლება ორ კატეგორიათ, პირველი არის—გლეხობა უმთავრესად, რომელნიც განსაკუთრებულის მცველების ქვეშ ჰყავთ კომუნისტური მოღვაწეობის გამო და რომლებმაც მისცეს „ნებაყოფლობითი“ ჩვენებები გრომადის ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შესახებ. მეორე ჯგუფი– მთავრობის მოხელეები, პოლიციელები, ოხრანკელები და ჯაშუშები.

ბელორუსიის გრომადის წევრები სამსჯავროს წინაშე

მოწმეთა პირველი ჯგუფი, გლეხები ატყუებენ სასამართლოსა და პროკურორსაც. ყველანი, როგორც ერთი კაცი უარჰყოფენ იმ ჩვენებებს, რომლებიც მისცეს წინასწარ გამოძიების დროს, და აცხადებენ, რომ ეს ჩვენება იყო შედეგი იმ არადამიანური მოპყრობისა, რომლიც მათ განიცადეს სასამართლოს საგამომძიებლო ორგანოებსა და პოლიციელთა განყოფილებებში. „ეხ, ჩემო ბატონო, რა გასაკვირია მაშინდელი ჩვენება, იმ მდგომარეობაში, მე შემეძლო მამაჩემის მოკლაც დამედასტურებინაო, განაცხადა პროკურორის წინაშე ერთმა მოწმემ. იქ ჩვენ გვტანჯავდენ გახურებული შანთით, საშინლად გვცემდენ და გვამცირებდენ,—განაგრძობდა ის. ასეთივე წამებას ადასტურებდენ მოწმეები: კაბაკჩიევიჩი, შავლიუკი, კომდოროვსკი და მთელი რიგი სხვა მოწმეებისა.

არც მეორე ჯგუფშია უფრო სახარბიელოდ საქმე. მთავრობის მოწმეებს, განსაკუთრებით პოლიციელებს, უფრო ექსპერტების ადგილი უჭირავთ, ვინემ მოწმეებისა. ეს ხალხი დეტალურად გაცნობილია არა მარტო გრომადის პროგრამას, არამედ ისინი ზედმიწევნით იცნობენ მათი ხელმძღვანელთა ფარულ აზრებსაც კი. ისინი ამტკიცებენ, რომ გრომადის დაარსების ინიციატივა თითქოს ეკუთვნის საბჭოთა კავშირს.

ბერლინის ქუჩებში. ტვირთმზიდავი მუშების გაფიცვის შემდეგ პოლიციის გაძლიერებული რაზმი იცავს შტრეიკბეხერებს.

ამავე „ექსპერტების“ აზრით გრომადა წარმოიშვა თურმე კომინტერნის ბრძანების თანახმად, მოქმედობს ის საბჭოთა მთავრობის დირექტივებით, მისი ფულებით და ის წარმოადგენს არალეგალურ კომუნისტურ პარტიას. ამასვე იმეორებს დაბეჯითებით, სახელმწიფოს მშვიდობიანობის განყოფილების რეფერენტიც, ვენის კომისართან ბ-ნი პიონტკოვსკი და პოლიციელთა ზედამხედველი პშზდზეცკი და სხვ. ყველა ისინი თუთიყუშივით იმეორებენ, რომ ბელორუსიის სოფლებში პოლონელთა ხელისუფლებასთან ერთად პარალელურად არსებობდა მეორე—ბელორუსიის ხელისუფლება, და ამავე დროს დასძენდენ, რომ ბრალდებული დეპუტატები აჯანყებისაკენ მოუწოდებდენ მოსახლეობას.

სასამართლო და ბურჟუაზიული პრესა ორივე უკმაყოფილებას გამოსთქვამდენ ამ მოწმეთა ჩვენების გამო, და როდესაც ერთი მათგანი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მრჩეველი **იან ბახი**, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა, რომ თითქოს „გრომადას უნდა დაეჭირა თავის გავლენის ქვეშ პოლონეთში არსებული ყველა სტრატეგიული პუნქტები“ და ამ მიზნით მიიღო ფული კომუნისტური პარტიისაგან—ის დაიბნა ამ „დანაშულთა დამტკიცებაში, გაზეთებმა ვერ მოითმინეს და ასტეხეს განგაში იმის გარშემო, რომ **ბახი** „ყოველთვის ცნობილი იყო თავისი არაშორმჭვრეტელობით და მოუფიქრებლობით“.

თუ პირველი მოწმე ასეთი აღმოჩნდა მეორეს მაგალითად სტუდნიცკის შეუძლია თავისი გამჭრიახობითა და შორსმჭვრეტელობით დაიტრაბახოს. ის სამინისტროს მოხელე არ არის, არც პოლიციელია, არც ოხრანკელი. ეს გახლავთ ქ ვილნოს არქივარიუსი, რომელიც თავის თავს სწავლულ ისტორიკოსს უწოდებს. მის მიზანს შეადგენს ლაფში ამოსვაროს ლიტერატორი ლუცკევიჩი, დაუმტკიცოს მას, რომ ის „საეჭვო პიროვნებაა“, რომ მას საიდუმლო კავშირი ჰქონდა გერმანეთთან და ის გერმანელთა ფულით სცემდა გაზეთს. მაგრამ მიუხედავად ამისა დაკითხვის პროცესში გამოაშკარავდა, რომ გერმანელთა ორიენტაციის მომხრე ლუცკევიჩი კი არ ყოფილა, არამედ თვით სტუდნიცკი ყოფილა თურმე, ეს უკანასკნელი თითონ თანამშრომლობდა თურმე იმ გაზეთში რომელიც ოკუპაციის პერიოდში გამოდიოდა გერმანელების გენერალურ შტაბის თანხებით, მისი ძმა კი თურმე ოფიციალური აგენტი ყოფილა გერმანელების, რომელთანაც მას ჰქონია კეთილი განწყობილება და მისსა და ძმას შორის არავითარ უთანხმოებას ადგილი არ ჰქონია.

მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება დაუსრულებლივ, მაგრამ ნათქვამიდანაც აშკარაა ამ მხარეში გაბატონებული შავრაზმელთა დიქტატურა, ამრიგად თეთრი ტერორი, კლასიური იუსტიცია და შეიარაღებული პოლიციელთა ბანდები ანადგურებენ დასავლეთის პატარა ერების რევოლიუციონურ გამანთავისუფლებელ მოძრაობებს. ბალკანეთის პატარა ქვეყნებში გაბატონებულია უდიდესი უსამართლობა, რომლის მძიმე პირობებში ხალხი მგინავს.

ი. შაბსინი

ბრალდებული ბელორუსელი გლეხები გრომადის პროცესზე

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გასტონ სოცი

ახალგაზრდა, იტალიელი კომკავშირელი გასტონ სოცი მოკლულ იქნა პერუჯის სამხედრო საპატიმროს ერთ-ერთ საკანში.

ამ საპატიმროსაკენ ისტუმრებს ხელისუფლება იმათ ვინც უნდა წარსდგეს სამხედრო ტრიბუნალის წინაშე. მოსამართლენი ლამობენ სპეციალური „ძიებით"—ცემით, ტანჯვითა და წამებით, რომელიც გამეფებულია იტალიის ციხე-სიმაგრეებში მიაღწიოს საწადელს. ამ ტრიბუნალში მოკალათებული მსაჯულები ცემითა და წამებით აიძულებენ პატიმრებს დაასახელონ თავიანთი თანამებრძოლი ამხანაგები და დაახასიათონ თავიანთი წარსული რევოლუციონური მოღვაწეობა. მაგრამ ისინი ვერ აღწევენ მიზანს.

ამ ნაძირალებმა ვერც ამხ. სოცის გმირული ნებისყოფა მოსტეხეს, მას ვერაფერი ვერ ათქმევინეს, ამ ნიადაგზე ის კიდეც შეიწირეს ფაშისტურმა ბანდებმა.

გასტონ სოცი იყო მხოლოდ 27 წ. ახალგაზრდა, ჯანლონით სავსე ჭაბუკი. მთელი მისი ცხოვრება დაწყებული 15 წლიდან, ე. ი. მას შემდეგ, რაც მან მოღვაწეობა დაიწყო სოციალისტურ პარტიაში, უკანასკნელად კი—კომკავშირში,—წარმოადგენდა გმირულ თავგანწირვით ბრძოლის ასპარეზს, რომელიც ყოველთვის მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ იყო მიმართული.

გასტონ სოცი.

1922 წ. ამხ. სოცი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რომანიას ოლქში ფაშისტების საწინააღმდეგოდ მოწყობილ გამოსვლებში. იმავე წელს ის იძულებული გახდა არალეგალურ მდგომარეობაში გადასულიყო, რადგანაც მას ბრალს სდებდენ ფაშისტის მკვლელობაში. მაგრამ არალეგალურ პირობებში ამხ. სოცი უფრო ენერგიულად აწარმოებდა იტალიის კომკავშირში მუშაობას, ის იყო რომანიას ოლქის იტალიის ახალგაზრდა კომუნისტური კავშირის მდივანი.

რამდენიმე ხნის შემდეგ პარტიამ ის გაგზავნა ლენინგრადის კომუნისტურ უნივერსიტეტში, სადაც მან გამოიჩინა საუკეთესო სტუდენტი-კომუნისტის ხარისხი.

1924 წ. იტალიაში დაბრუნების შემდეგ, როცა მას მოხსნეს ბრალდება ფაშისტის მკვლელობაში მონაწილეობის მიღების შესახებ, მან უფრო გააცხოველა თავისი საყვარელი მუშაობა. მას არ შეუწყვეტია ეს მუშაობა, არც სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს, სადაც ის გაიწვიეს იტალიაში დაბრუნებისთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ის სულ პოლიციისა და ფაშისტების ჯაშუშების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, მუშაობას ახერხებდა და საკვირველის ენერგიით სწევდა წინ პარტიის საქმეებს.

1927 წ. განსაკუთრებული კანონების გამოცემის შემდეგ სოცის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, მას დაუწყეს დევნა, ბოლოს ის შეიპყრეს და ბრალდებათ წაუყენეს ანტიმილიტარისტული პროპაგანდის წარმოება.

ამხ. სოცი დიდი პოპულიარობით სარგებლობდა იტალიაში, როცა მისი სიკვდილის ამბავი მოვიდა რომანიამდე, ადგილობრივ ფაშისტებს შეეშინდათ და დამარხვის დღისათვის გამოაცხადეს სამხედრო წესები.

ამხ. გასტონ სოცის, ამ რევოლუციონერის ხსოვნა, რომელიც დაეცა თავის წმინდა სადარაჯოზე, ყოველთვის ცოცხალი იქნება იტალიის მშრომელთა გულში.

ადამ.

რემედასის უჯრედებისა და ორგანიზაციების მოვალეობაა გააძლიერონ ხელის მოწერა ჟურნალ „რემედას"-ზე!

რემედასის უჯრედებსა და ორგანიზაციებს ჟურნალზე ხელის მოწერის ჩატარებისათვის ჯილდოს სახით, ორგანიზაციულ ხარჯების დასაფარავად, დაეთმობათ 10%!

მოწაფეებო, ზაფხულის არდადეგებში ხელი შეუწყვეთ სოფლად გლეხობასა და გლეხურ ახალგაზრდობის მასაში ჟურნალ „რ ე მ ე დ ა ს"-ის გავრცელებას.

რემედასის ლიტერატურის გავრცელება ხელს შეუწყობს და მკვიდრ ნიადაგზე დააყენებს მშრომელთა ფართე მასების ინტერნაციონალურად აღზრდას!

ყოველი მუშა, გლეხი, წითელ-არმიელი, კომკავშირელი, მშრომელი ქალი, საბჭოთა მოქალაქე უნდა კითხულობდეს ჟურნალ „რ ე მ ე დ ა ს"-ს!

ღია წერილი იტალიის ელჩს პარიზში

ბ-ნ ელჩო!

თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში, როგორც კი მივიღეთ ცნობა, იტალიაში, პერუჯის საპყრობილეში, ცნობილი კომუნისტის გასტონ სოცის სიკვდილის შესახებ ფაშიზმის მსხვერპლთა დამცველმა კომიტეტმა, რომლის

ბერლინის ქუჩებში „წესრიგის დასაცავად“ პოლიციელები დაატარებენ ჯავშნოსნებს.

თავმჯდომარედაც მე ვითვლები, მიმართა იტალიის ელჩს პარიზში თხოვნით, რათა მას მიეღო თავისი მთავრობისაგან დაწვრილებითი ცნობები იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც წინ უძღოდა გასტონ სოცის ტრაგიკულ გარდაცვალებას. გარდა ამისა ის მოითხოვდა, იტალიის ფაშისტურ ხელისუფლებას ნება დაერთო საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის მიერ არჩნულ სპეციალური კომისიისათვის, რათა ჩაეტარებინა მას მიუდგომელი და პირუთვნელი გამოკვლევა იტალიის ციხეებისა.

იტალიის ელჩის მიერ სრული სიჩუმით შეხვედრა ამ თხოვნისადმი გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ გასტონ სოცი დაიღუპა მეტად სამწუხარო პირობებში.

უკანასკნელ ხანებში მიღებული ცნობები ადასტურებენ იმ საშინელ შემთხვევებს, რომელსაც ადგილი ჰქონია იტალიის ციხეებში. ჩვენ დარწმუნებული ვარ ამხ. გასტონ სოცის მწარე ბედი მოელის იმ 6.000 პატიმარს, რომლებიც იტანჯებიან იტალიის საპყრობილეების ბნელ ჯურღმულებში. იტალიის ყოველ კუთხიდან მიღებული ცნობების შემდეგ ზედმეტია ეჭვის შეტანა იმაში, რომ დღეიდან იტალიაში ძალაში შედის და სამუდამოდ დაკანონებულია მუსოლინის ციხეებში საშინელი ტანჯვა—წამება. მსგავსად სოცისა ყველა დანარჩენ პატიმრებს ასეთივე ბედი მოელის.

1927 წ. ქ. მილანში კაპუციოს ქუჩაზე სახლი № 19. პოლიციამ აღმოაჩინა მარქსისტული ჟურნალ „სტატო ოპერაიოს“ მთელი საწყობი. აღნიშნული ჟურნალი იცემოდა არალეგალურად მას შემდეგ, რაც მუსოლინმა აკრძალა ყველა ანტიფაშისტური გამოცემები. ამას შედეგად მოჰყვა ჟურნალისტ ფრანჩესკო ლეონესა და მუშა ბოზელლის დაპატიმრება, ამ უკანასკნელთ ბრალი ედებათ ზემოაღნიშნული ჟურნალის დაბეჭდვისა და გავრცელებაში. ამის შემდეგ დააპატიმრეს სასახლის კარისკაცი ანტუან სანვიცო და მისი ცოლი.

როგორც ვიცით, თანახმად 1926 წ. პოლიციის მიერ გამოცემული ინსტრუქციისა, კარისკაცები სამსახურზე დაიშვებიან მხოლოდ პოლიციის მიერ ნებართვის გაცემის შემდეგ. კარისკაცებს ევალებათ თვალყურის დაჭერა სასახლეზე და მათ პოლიტიკურ მდგომარეობაზე. თავისი მოვალეობისადმი გულგრილად მოპყრობისათვის ისინი გასამართლებულნი იქნებიან, როგორც ანტიფაშისტური მოღვაწეობის მონაწილენი, რომელშიც შემჩნეულნი იქნებიან ამ სახლებში მცხოვრებნი. ამ ინსტრუქციის „დარღვევისათვის“ დააპატიმრეს სანვიტო თავისი ცოლით, ისიც, როგორც სხვა დანარჩენი პატიმრები ჩააგდეს ციხის ბნელ საკანში და საშინლად აწამეს, რითაც ხელისუფლების წარმომადგენლები ლამობდენ საჭირო ცნობების შეკრებას. კარისკაცმა ვერაფერი სთქვა, იმიტომ, რომ, მან არა იცოდა რა ბოზელისა და ლეონეს შესახებ.

ახალგაზრდებმა ასე, თუ ისე კიდევ გადაიტანეს ციხეში არსებული საშინელი წამება, მაგრამ ხანშესული სანვიტო საშინელი ტანჯვებით მიიცვალა. მისი დაპატიმრების ორი კვირის შემდეგ შეწყდა ცნობების მიღება გაიგეს მისი გარდაცვალების ამბავი, მაგრამ როდის, რა დროზე, რა პირობებში, რომელ რიცხვში სახელდობრ ან რა იყო სიკვდილის მიზეზი, რატომ დაკრძალეს ის ჩუმად მისი ოჯახის ცნობის გარეშე, რატომ არ მისცეს ცხედარი მის ჭირისუფალს? არვინ იცის ამის შესახებ! სანვიტოს ცოლმა ქმრის სიკვდილი ვერ გადაიტანა და ციხეშივე გაგიჟდა!

მეორე ასეთი მხეცური სიკვდილის შემთხვევას კიდევ ჰქონდა ადგილი მილანში. გასულ ზაფხულში ადგილობრივ ციხეში მოიყვანეს სადგურ სანდარიოს ყოფილი უფროსი. ის სამსახურიდან დაითხოვა სახელმწიფო რკინის გზების სამმართველომ მისი ანტიფაშისტური რწმენის გამო. პეროლა იჭვით დააპატიმრეს სანდარიში,

იაპონიის საპყრობილეებში პოლიტ-პატიმრებს იძულებით ამუშავებენ ხელსაფქვავზე

ის თითქოს მჭიდრო კავშირში იყო ანტიფაშისტურ ორგანიზაციებთან მილანსა და ბრეოტშში. აქედან ის გადაიყვანეს მილანში, სადაც ცემა-ტყეპით ლამობდენ ფაშისტები მისგან საჭირო ცნობების მიღებას. ერთი თვის შემდეგ პატიმრის ოჯახმა მიიღო ცნობა, იმის შესახებ რომ თითქოს მან თავი ჩამოიხრჩო თავის საკანში. აქაც ისეთივე მოვლენასთან გვაქვს საქმე, როგორც სოცის საქმის გარშემო იყო. როგორც სხვა დანარჩენი პატიმრების ოჯახს ისე პეროლას ოჯახს აუკრძალეს ცხედრის განკვეთა და დაკრძალვაზე დასწრება. დაკრძალვა მოხდა ჩუმად, ღამით გაცილებით ადრე ვინემ ჭირისუფალი გაიგებდა მის გარდაცვალებას. რისთვის იყო საჭირო ყველაფერი ამასი მოწყობა ჩუმად, თუ აქ აშკარა ბოროტმოქმედებას არა აქვს ადგილი?

ეს კიდევ ყველაფერი არ არის. ჩვენ ვღებულობთ ცნობებს გენუის საპყრობილიდან, სადაც მუშაობს მანქანა, რომელიც იძულებით ალაპარაკებს პატიმარს. ამ „მანქანაში გაატარეს" სენ-კირიკოელი რუსტო. საბრალო პატიმარი იმ ზომამდე მიიყვანეს, რომ საჭირო შეიქნა მისი სასწრაფოდ გადაყვანა საავადმყოფოში. შემდეგ მასზე არაფერი ისმის, ხმები დადის მისი ტრაიკულად გარდაცვალების შესახებ.

ფაშისტური სახელმწიფოების ციხეები წარმოადგენენ მკვლელთა თავშესაფარ გამოქვაბულებს. ყველამ იცის პაულო ბეტის საქმე. ცემა-წამებით ის გონების დაკარგვამდე მიიყვანეს, ის დღესაც შეშლილთა სახლში იმყოფება. მაგრამ გვეგონა, რომ ის შემთხვევითი ხასიათის მოვლენა იყო, მაგრამ ეხლა ჩვენ უკვე დარწმუნებული ვართ, რომ მთელი ამ სისტემის სულისჩამდგმელი არის მმართველი კლასი, რომელიც ქვემდებარე ორგანოებს აძლევს პატიმართა წამების ახალ-ახალ დირექტივებს, ამ აზრს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ მთელს იტალიაში ყველა საპატიმროებში ერთი და იგივე სისტემით უმასპინძლდებიან პოლიტ პატიმრებს.

პატიმრის „ასალაპარაკებლად" პოლიციის პრეფექტურებაში არ კმაყოფილდებიან მარტოოდენ ცემით, მათ წინააღმდეგ ამოუშვებენ სპეციალურ მანქანებსაც. პოლიტ. პატიმრების წინააღმდეგ მიმართავენ შემდეგ ზოგებს: სცემენ ჯოხით (ტრიესტსა და მონფელკონში—გაზეთების ცნობით); ხელს აყოფინებენ მდულარეში (მილანსა და ბრეოტშიაში); ასიმშილებენ (ეს დაიწყო პირველად ბრეოტშიაში, შემდეგ მთელს იტალიას მოედო); უშხაპუნებენ ისეთ სითხეს, რომელიც პატიმარს აწყებინებს ბოდვას ამით სურთ რაიმე, ხელმოსაკიდი ცნობების მიღება (ბრეოტშიასა და პერუჯში) და ასე შემდეგ.

ყველა ზემოხსენებული ფაქტები საჭიროებენ, ფარდის ახდას კაცობრიობის წინაშე, რათა ყველასათვის აშკარა გახდეს ის საშინელი სიმხეცე, რომელიც არსებობს ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში და რომელიც დღითი დღე ძალაში შედის. ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ ჯეროვან პასუხის მიღებას ჩვენს შეკითხვებზე, რომელიც ჩვენ გადავგზავნეთ იტალიის წარმომადგენლობასთან პარიზში.

ბულგარელ ახალგაზრდობის ერთი ჯგუფი მოსკოვის ბავშთა სახლში

ჩვენ მოვითხოვეთ, მოგვაწოდონ ჭეშმარიტი ცნობები იმის შესახებ, თუ როდის გარდაიცვალა ზემოაღნიშნული ამხანაგები, მოვითხოვთ ამასთანავე ერთად საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრისაგან სპეციალურ კომისიის გამოყოფას, რომელსაც უნდა დაევალოს იტალიის საპატიმროების გამოკვლევა, სადაც დღეს იტანჯება 6000 მეტრი პოლიტ პატიმარი.

ჩვენ ვაყენებთ ამ მოთხოვნილებას მთელი განათლებული კაცობრიობის სახელით ადამიანის სინდისისა და სიცოცხლის დასაცავად.

ფაშისზმის მსხვერპლთა დამცველი კომიტეტის თავმჯდომარე: **ჰანრი ბარბიუსი.**

ყველა ფაბრიკა-ქარხნებში, ბიბლიოთეკა და ქოხსამკითხველოებში უნდა იკითხებოდეს ჟურნალ "რ ე მ ე დ ა ს"-ი!

მუშკორებო, გლეხკორებო და რემკორებო, მოგვაწოდეთ მასალები რემედასის ორგანიზაციების მოღვაწეობის შესახებ!

ამხანაგებო, გააძლიერეთ რემედასის მუშაობა. რემედასის ორგანიზაციის ნაყოფიერი მოღვაწეობა გააძლიერებს საერთაშორისო ოქტომბრის წითელ" ზურგს!

სად როგორ ჩატარდა 18 მარტის დღესასწაული

რემედასის მოძმე ორგანიზაციების მუშაობა გურჟუაზიულ ქვეყნებში.

რემედასის უცხოეთის სექციებისა და მოძმე ორგანიზაციების მოღვაწეობის მასალები, ჩვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ცალ-ცალკე უნდა ამოსჭრან და შეინახონ.

ჩვენი ჟურნალი შეეცდება ადგილებს სისტემატიურად მიაწოდოს ასეთი ხასიათის ცნობები, ამრიგად ადგილებზე მომუშავე ამხანაგებს საშუალება მიეცემა საჭიროების დროს იქონიონ ნათელი წარმოდგენა უცხოეთის სექციების მოღვაწეობის შესახებ, რაც მათ გაუადვილებს რემედასის ორგანიზაციაში პრაქტიკული მუშაობის წარმოებას.

გერმანია: ფრიდრიხ — ნაინკის სასაფლაოზე მარტის დღეებში დაღუპულთა საფლავზე, მრავალ-ათასი მუშები ისმენენ **„წითელ დახმარების“** თავმჯდომარის ამხ. **პიკის** სიტყვას.

1921 წ. მარტის დღეებში დაიღუპა არა ერთი და ორი ათეული საუკეთესო მებრძოლი. მუშათა კლასის ბრწყინვალე მომავლისათვის თავდადებულნი. დაღუპულთა ოჯახების უმწეო მდგომარეობამ შეაბაგონა გერმანიის მუშათა კლასს დაეარსებინა მას **„წითელი დახმარების“** კომიტეტი, რომლის არსებობის 7 წლისთავს ზეიმობენ ისინი ეხლა. გერმანიის პროლეტარიატი ბრწყინვალედ დღესასწაულობს ამ საერთაშორისო მუშათა კლასის დამხმარე ორგანიზაციის რემედასისა და პარიზის კომუნარების ხსოვნის აღსანიშნავ დღეს.

ისინი ბრძოლის ენტუზიაზმით აღტკინებულნი, თავიანთი პროტესტების ძლიერ ხმას უერთებენ საერთაშორისო პროლეტარიატის პროტესტს და მოითხოვენ მთელი ქვეყნის ტვირთ-მძიმეთა კისრიდან ექსპლოატაციის უღლის გადაგდებას.

ავსტრია: ვენაში მოეწყო **„წითელი დახმარების“** მასიური დემონსტრაცია. ხალხით გაჭედილ დარბაზში მოეწყო „წითელი დახმარების“ საღამო, 1848, 1871, 1905 და 1917 წ. წ. რევოლიუციების მოსაგონარი სიტყვებით. საღამოს დასასრულს ნაჩვენები იყო თანამედროვე რუსეთის რევოლიუციონური კინო.სურათები.

შვეიცარია: ყველა სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში მოეწყო მარტის დღეების მოსაგონარი, „წითელი დახმარების“ საღამოები, ყველგან ესენი ჩატარებულ იქნა საერთაშორისო ერთსულოვნების და რემედასის ლოზუნგების ქვეშ. ციურიხში ნაჩვენები იყო დიდი პროლეტარული მიმოხილვის წარმოდგენა—„კედელი“ 17 სურათად, რომელშიაც მოცემულია რემედასის მოღვაწეობის სხვადასხვა მომენტში.

ჩეხო-სლოვაკია: ყველა რევოლიუციონური გაზეთები აღნიშნავდენ რემედასის უდიდეს მნიშვნელობას საერთაშორისო პროლეტარიატის მოძრაობის ბრწყინვალედ დასაგვირგვინებლად. პოლიციამ გამოგზავნა თვისი ცენზორი გაზეთებში დასაბეჭდი მასალების გადასაშინჯავად,—რასაც შედეგად მოჰყვა, ის რომ კარლ მარქსის, ლენინის, როზა ლიუქსემბურგისა და ლიბკნეხტის წერილებიდან მთელი განყოფილებები და ადგილები იყო ამოგდებული. „წითელ დახმარების“ ჩეხო-სლოვაკიის განყოფილებამ გამოუშვა მასიური ხასიათის წიგნაკი კაპიტალისტურ ქვეყნების ციხეებში არსებულ რეჟიმის შესახებ. ყველა ქალაქებში სწარმოებდა საზეიმო სხდომები, მანიფესტაციები და მიტინგები.

ვენგრია: ბუდაპეშტში მოეწყო გრანდიოზული, მუშათა დემონსტრაცია, დემონსტრაციის დღისთვის პოლიცია შეიარაღებული იყო კბილებამდე. ქალაქში ადგილი ჰქონდა დემონსტრანტებთან შეტაკებას, მასიურ და პატიმრებებს, ციხეები გაივსო პოლიტ-პატიმრებით — ასე ჩაატარა ვენგრიის პროლეტარიატმა ხორტის რეაქციის კლანჭებში მარტის დღეების მოსაგონარი დღესასწაული.

საფრანგეთი: ყველა ორგანიზაციებში მოეწყო სადღესასწაულო მიტინგები და სხდომები. რემედასის პარიზის რაიონულმა ორგანიზაციამ 25 მარტს ჩაატარა უდიდესი მიტინგი. მრავალ ათასი მუშები ფიცს სდებდენ თავიანთი მამების და ძმების, 1871 წ. პარიზის კომუნის ბარიკატზე დაღუპულთა საფლავებზე.

ინგლისი: მარტის დღეების—11—18 ყველა სამრეწველო ცენტრებში ჩატარდა უდიდესი სადღესასწაულო მიტინგები და სხდომები, რომელიც მიმდინარეობდა „კლასიური ბრძოლისა და საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარების“ ლოზუნგის ქვეშ. ამვე ხანებში ჩატარებულ იქნა ყოფილ პოლიტ-პატიმართა ყრილობა 18 მარტს, ლონდონში ტრაფალგორსკის სევარში (პარკი) მოეწყო უდიდესი, მუშათა დემონსტრაცია.

კანადა: „შრომის დაცვის საერთაშორისო ლიგის“ (კანადის რემედასის) მიერ ჩატარებულ იქნა დიდი დღესასწაული. ყველა დიდ ქალაქეისა და სამრეწველო ცენტრებში მოეწყო დემონსტრაცია და მიტინგები.

ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები: ნიუიორკში, ჩიკაგოში, ფილადელფიაში, მილვოკში, პატსბურგში, კლივლენდში, სან-ფრანცისკოში, ოგაიოსა და სხვა დანარჩენ მუშათა კოლონიებში მოეწყო მუშათა მასიური მიტინგები, დემონსტრაციები, მხატვრული საღამოები, ყველა ესენი ჩატარებულ იქნა პარიზის კომუნისა და რემედასის არსებობის 5 წლისთავის ლოზუნგის ქვეშ.

ორატორებად გამოდიოდენ, როგორც რემედასის ხელმძღვანელი—ისე ინტელიგენციის წარმომადგენელები, მაგალითად ფილადელფიაში — მანუელ გომეს, სრულიად ამერიკის იმპერიალისტების წინააღმდეგ მებრძოლი ლიგის მდივანი.

მარტის 18 იყო რემედასის საერთაშორისო არმიის დათვალიერების დღე.

ჩ ვ ე ნ ი ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა

(ქ. ტფილისი)

ტფილისის 1-ლ ს. კ. ს. კ-თან არსებული რემედასის უჯრედს, ა. ლ. კ. კ. უჯრედის თაოსნობით რემედასის ორგან. საფუძველი ჩაეყარა 1927 წ., უჯრედში გაერთიანებულია 100-მდე წევრი. უჯრედში გამოყოფილია სხვადასხვა კომისიები, რომლებიც პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, განსაკუთრებით აღსანიშნავია სარევიზიო კომისიის მუშაობა, რომელიც ფხიზლად ეკიდება რემედასის უჯრედის წარმატების საქმეს.

არსებობს ლიტერატურის გამავრცელებელი კომისია, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია რემედასის რაიკომთან. უჯრედიდან გამოყოფილია სარედაქციო კოლეგია, რომელიც სისტემატიურად სცემს კედლის გაზეთს „გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს ს ი მ ბ ო ლ ო-“ს ამ გაზეთის საპირველმაისო ნომერს საუკეთესო ადგილი უჭირავს ჩვენი სასწავლებლის სხვა კედლის გაზეთთა შორის.

უჯრედში ხშირად იმართება მოხსენებები, რემედასის მნიშვნელობასა და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. სწარმოებს მუშაობა პიონერთა და კომკავშირთა შასებში. უკანასკნელ ხანებში ჩვენმა უჯრედმა მოაწყო კინო-სეანსები ორგანიზაციის სასარგებლოდ.

ამრიგად ახალგაზრდობა აქტიურად ჩაბმულია საზოგადოებრივ საქმეში, ყველანი შეგნებულად თანამშრომლობენ და ხელს უწყობენ უცხოელ ამხანაგების—კაპიტალის პატიმართა მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაც თავდებია საერთაშორისო ოქტომბრის წითელი ზურგის გამაგრებისა.

ლ. მარუაშვილი

მადლობის ღირსნი არიან ასეთი მასწავლებლები

(ე. ნინოშვილის სახ. სკოლა-საკრებულო)

აღნიშნულ სკოლაში მასწავლებლად არის შრომის მოყვარული, ენერგიული და დაუღალავი ამხ. ა ნ დ რ ო მ ჭ ე დ ლ ი ძ ე, რომელიც თავის მოვალეობის ასრულების შემდეგ დიდათ ხელს უწყობს სკოლაში მოწაფეთა შორის სხვადასხვა საზოგადოებათა ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა და მათ მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას.

მისივე თაოსნობით ჩამოყალიბებული იქნა რემედასის ორგანიზაცია, რაშიაც მხურვალე მონაწილეობა ნიიღო ამავე სკოლის მეორე მასწავლებელმა ამხ. ე. ო დ ი შ ა რ ი ა მ, რომელმაც ფულადი დახმარებაც კი ამოუჩინა ორგანიზაციის მოსაწესრიგებლად.

რემედასის ორგანიზაციის მუშაობას ხალისით ეკიდებიან მოწაფეები, უჯრედი აერთიანებს 70 წევრს. უჯრედთან მოწყობილია რემედასის კუთხე, სადაც საკმაოდ მოიპოება როგორც რემედასის ლიტერატურა ისე პლაკატები და სხვა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მომავალში უფრო გაფართოვდება ეს მუშაობა.

ა. დუნიაშვილი.

საჭიროა მეტი აქტივობა

(ქ. ფოთი).

ფოთის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში კარგა ხანია, რაც ჩამოყალიბდა რემედასის ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 100-დე წევრს; ორგანიზაციულ მუშაობაში აქტიურად ჩაბმულნი არიან, როგორ ახ. კომ. კავშირის წევრები ისე, უპარტიო ახალგაზრდობაც.

გამოყოფილია აქტიური ამხანაგების ბიურო, რომელიც სცემს კედლის გაზეთს, „რემედას“-ის სახელწოდებით.

აღნიშნულ გაზეთში მხურვალე მონაწილეობას იღებენ მოწაფეები, შუქდება რემედასის, როგორც საერთაშორისო ამოცანები ისე ადგილობრივ მუშაობაში შემჩნეული ნაკლი და ბილწევები. არსებობს ამავე დროს რემედასის წრე, მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ მეცადინეობა ვერ მიმდინარეობს სისტემატიურად. ცუდად ვრცელდება ჟურნალ „რემედასი“, რასაც დაუყონებლივ უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ნ. ფალავა

დაგვიარსეთ რემედასის უჯრედი

(ს. ახალდაბა).

ხსენებულ სოფელში თავს იყრის საკმაო ძალა, როგორც კომკავშირელების ისე პარტიულებისა და მშრომელ ქალებსა. აქ არსებობს ყველა ორგანიზაციები, როგორცაა, პარტიული, ახ. ლ. კომ კავ. ქალთა, პიონერთა და სხვ. მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ დღემდის ვერ ჩამოყალიბდა რემედასის ორგანიზმცია.

დღემდის ამისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია არც რემედასის ბორჯომის ორგანიზაციას, არც ადგილობრივ პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. ჩვენის აზრით რემედასისადმი ასე გულცივად მოპყრობა დანაშაულს უდრის.

ჩვენ ამ გარამოებას მივაქცევთ ადგილობრივ ხელმძღვანელ ამხანაგების ყურადღებას და მოვითხოვთ ჩამოაყალიბონ რემედასის ორგანიზაცია.

რევოლიუციისათვის ბებრძოლთა დახმარების იდეა ფართედ უნდა იქნეს გავრცელებული მშრომელ მასებში.

ბ. პ—ე

აღარ სწარმოებს მუშაობა

(ქ. ბორჯომი).

ბორჯომის საქარხნო საფაბრიკო სკოლაში ა. ლ. კ. კ. ადგილობრივ უჯრედის თაოსნობით ჩამოყალიბდა რემედასის უჯრედი, რომელიც დაარსების პირველ ხანებში ჯეროვნად მუშაობდა. წევრთა რაოდენობა 80-დე გაიზარდა, სისტემატიურად იმართებოდა რემედასის სხდომები, მოხსენებები სხვადასხვა თემებზე და ჩატარებული იქნა რემედასის სასარგებლოთ ფასიანი საღამო.

აღსანიშნავია ერთი გარემოება ძველი ბიუროს შემადგენლობის გადარჩევის შემდეგ მუშაობა სრულიად ჩაკვდა, ახალი ბიურო საღათის ძილს მიეცა, ის სრულ უმოქმედებას იჩენს. არ იკრიბება რემედასის წევრთა შორის საწევრო ანარიცხები, ერთის სიტყვით ფაქტიურად არაფერი კეთდება და ორგანიზაია დაშლის პროცესამდეა მისული.

რემედასის ბორჯომის კომიტეტმა ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს.

ბ—ვლე.

როგორ ვმუშაობთ რემედასში

(შორაპნის მაზრა)

ასულ წლის ნოემბრამდე შორაპნის მაზრის რემედასის სამაზრო კომიტეტის მუშაობა ვერ იდგა თავის სიმაღლეზე, უჯრედებსა და ორგანიზაციებში არ ტარდებოდა მუშაობა. ახალი პასუხისმგებელი მდივნის დანიშვნის შემდეგ ეს ნაკლი გამოსწორებული იქნა ნაწილობრივად.

პასუხისმგებელი მდივნის თაოსნობით ჩამოყალიბდა რამდენიმე რაიონებში რემედასის უჯრედები. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ორგანიზაციებში თანისთან მატულობს წევრთა რაოდენობა.

პასუხისმგებელი მდივანი ამს. გეგეშიძე ხელს უწყობს აგრეთვე რემედასის სხვა და სხვა ხასიათის ლიტერატურის გავრცელებას, ჩვენ იმედი გვაქვს რემედასის ორგანიზაცია უფრო ნაყოფიერ მუშაობას გააჩაღებს მომავალში და ხელს შეუწყობს მასების ინტერნაციონალურად აღზრდას და მათი ერთსულოვნების განმტკიცებას.

ვლადიმერ კვინიკაძე.

მიმდინარე წლის მაისის 15, ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობებით, სემიგრადის ბევრ ადგილებში დაიწყო მღელვარება, რომელიც ზოგან აჯანყებების ხასიათს ღებულობს. გლეხთა ნაციონალურ პარტიის ყრილობიდან დაბრუნებულმა გლეხებმა დაიკავეს რკინის გზის მთელი რიგი სადგურები და ხელში ჩაიგდეს საბარგო მატარებლები.

ზოგიერთ სოფლებში, სადაც გაიარეს დაბრუნებულმა გლეხებმა, დაიწყო გლეხთა აჯანყებები. გლეხებმა სცემეს და გააძევეს სოფლის ნოტარიუსები, სოფლის მოსამარლენი და ხუცები. დაიკავეს მთავრობის დაწესებულებათა შენობები, გამოაცხადეს „ხალხის ძალა-უფლება“ და აირჩიეს ახალი ნოტარიუსები და მოსამართლეები.

ხუთ თემში აჯანყებულებმა კონფისკაცია უყვეს სათემო საბჭოების სალაროებს. აჯანყებულ გლეხთა წინააღმდეგ ორადეა-მარეში გაიგზავნა ჯარები, რომლებმაც ბიხარის ოლქში დაიკავეს სოფლები, აჯანყება დაიწყო აგილას ძვანახშირის რაიონში.

მთელ რიგ რაიონებში მუშებმა გააძევეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ბევრ სოფლებში გლეხები თავს დაესხენ აგრარულ რეფორმის გამტარებელ კომისიებს და თითონ შეუდგენ მიწის განაწილებას.

მიმდინარე წლის მაისის 15 ავსტრიის კომპარტიამ მოიწვია მრავალრიცხოვანი საპროტესტო კრება ბელა კუნის უნგრეთის მთავრობისათვის გადაცემის წინააღმდეგ. კრებამ ერთხმად მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია კუნის გადაცემის განზრახვის გამო.

კრებამ მჭუხარე ოვაციები გაუმართა მუშას, რომელმაც მოუწოდა შევიდენ ვენაში დაარსებულ „მუშათა თავდაცვის“ ორგანიზაციაში.

ავსტრიის კომუნისტური პარტია ვენაში აპირებს მთელ რიგ ასეთ საპროტესტო კრებების მოწვევას.

მაისის 15 ნიუ-იორკში, ამერიკის კომპარტიამ მოაწყო მასიური მიტინგები ბელა კუნის დაცვის ლოზუნგებით.

რემედასის II-ე ყრილობის დადგენილებები

რ ე ზ ო ლ ი უ ც ი ე ბ ი

III. რემედასის საქ. ცეკას მოხსენების გარშემო.

რემედასის სრულიად საქართველოს მეორე ყრილობამ მოისმინა რა ამხ. ა ლ. ქ ო ი ა ვ ა ს მოხსენება ცენტრალურ კომიტეტის მუშაობის შესახებ, აღნიშნავს წარსულ სამუშაო პერიოდში (ე. ი. 1926 წ. აპრილის 3 დე) მუშაობის არანორმ. მდგომარეობას, რაც თავის დროზე აღნიშნულ იქნა რემედასის კონფერენციის მიერ. რემედასის ცეკას უკანასკნელმა შემადგენლობამ, შესძლო წინათ აღნიშნული მდგომარეობიდან ორგანიზაციის გამოყვანა და მუშაობის დაყენება სათანადო სიმაღლეზე, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ახალმა პრეზიდიუმმა შესძლო რემედასის გავლენის გაძლიერება მშრომელ მასებზე. ყრილობა ხაზს უსვამს რემედასის მიერ ჩატარებულ მუშაოას, სცნობს მას დამაკმაყოფილებლად და აღნიშნავს შემდეგ მიღწევებს:

1. ორგანიზაციულად ჩამოყალიბებასა და ახალ სამუშაო გეგმაზე გადასვლას, როგორც თვით ცენტრალურ კომიტეტში ისე მის ქვემდებარე ორგანიზაციებშიაც.

2. დროზე გამოძახილსა და ხელმძღვანელობას მასიურ კამპანიების ჩატარებაში, როგორიცაა:

ა) საკოსა და ვანცეტის პროცესი; ბ) ჩინეთისა და ვენის ამბები; გ) საერთაშორისო ახალგაზრდობის დღე; დ) საბჭოთა წყობილების არსებობის 10 წლისთავი და ე) მარტის 18, პირველი მაისის დღესასწაული და სხვა და სხვა.

3. ქვემდებარე ორგანიზაციებთან, როგორ ცოცხალი, ისე წერილობითი კავშირის გაბმას.

4. იაფფასიან წიგნაკებისა და ჟურნალ „რ ე მ ე დ ა ს-ის გამოცემას, რის საჭიროებაც მეტად საგრძნობი იყო.

6. როგორც თვით ცენტრალურ კომიტეტში, ისე ქვემდებარე ორგანიზაციებში ხარჯების შეკვეცას.

6. გამომჟღავნებულია ხარისხობრივი, მაგრამ არა სრული ჩამოყალიბება ორგანიზაციისა.

ამასთანავე ერთად ყრილობა აღნიშნავს მთელ რიგ ნაკლულოვანებებს რემედასის საქართველოს ორგანიზაციებში. მათ შორის უმთავრესად აღსანიშნავია:

1. ყველა ორგანიზაციების არა სრული ჩამოყალიბება; 2. სოფლად მუშაობის წარმოების სისუსტე; 3. შემოსავლის სიმცირე, განსაკუთრებით საწევრო ანარიცხების არა მთლიანად აკრეფა; 4. რემედასის ძირითადი ორგანიზაციების მუშაობის სისუსტე; 5. მშრომელ ქალთა და ა. ლ. კ. კავშირის არა საკმაო მონაწილეობა რემედასში; 6. წევრთა არა საკმაო ორგანიზაციულად ჩამოყალილებებას.

ყრილობა იღებს რა მხედველობაში ასეთ მდგომარეობს საჭიროდ სთვლის:

1. ორგანიზაციულად სრულ ჩამოყალიბებას; 2. რემედასის ორგანიზაციებში გლეხების, კომკავშირელებისა და მშრომელთა რაოდენობის გაძლიერებას; 3. რემედასის უჯრედების მოღვაწეობის გაძლიერება სოფლად და ქალაქად. საჭიროა დაუყონებლივ მიღებულ იქნეს რემედასის მაღლა მდგომ ორგანიზაციების მიერ ძირითად ორგანიზაციების მუშაობის ხარისხობრივად გამოსასწორებლად და მისი დონის ასაწევად. 4. უდიდესი მნიშვნელობა მიეცეს საშეფო მუშაობას, რაც უნდა იქნეს დაყენებული სათანადო სიმაღლეზე. 5. აუცილებლად იქნეს ცნობილი რემედასის ძირითადი და სოფლის ორგანიზაციებისათვის იაფფასიანი ლიტერატურის გამოცემა. 6. დამყარებულ იქნეს უფრო მჭიდრო და საქმიანი კავშირი საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციებთან. 7. განმტკიცებულ იქნეს ფინანსიური მდგომარეობა საწევრო ანარიცხების მთლიანად შეკრებით. 8. მიღებულ იქნეს სასწრაფო ზომები რემედასის სარევიზიო კომისიების, ნამდვილი საზოგადო კანტროლად, გადასაქ. მათი ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაბმით. 9. წითელი ჯარის ნაწილებში ახსნა-განმარტება მიეცეს რემედასის იდეებს და მისი მნიშვნელობას საერთაშორისო რევოლიუციის წითელი ზურგის განმტკიცების საქმეში, ამიტომ გაღრმავებულ უნდა იქნეს რემედასის მუშაობა წითელ ჯარის ნაწილებში.

IV. სარევიზიო კომისიის მოხსენების გარშემო.

ყრილობამ მოისმინა რა სარევიზიო კომისიის მოხსენება რემედასის ცეკას მუშაობის შესახებ, სთვლის მას დამაკმაყოფილებლად და ამავე დროს ამტკიცებს წარმოდგენილ ანგარიშს.

V. საორგანიზაციო დარგში.

1. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რემედასის ძირითად ორგანიზაციებისა და უჯრედების მუშაობას.

2. აღებულ იქნეს ხაზი აქტივის გასაძლიერებლად, ამ მიზნით ჩამოყალიბებულ იქნეს სათანადო წრეები.

3. ყრილობა აღნიშნავს რა გლეხობის არა საკმაო რაოდენობის ჩაბმას რემედასის მუშაობაში, წინადადებას აძლევს ცენტრალურ კომიტეტს სასწრაფოდ მიიღოს ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

4. გამარტივებული იქნეს გეგმა და ფორმა ორგანიზაციის წევრთა აღრიცხვისა, რისთვისაც შემუშავებული იქნეს აუცილებელი, გასაგები და სათანადო ინსტრუქციები.

5. განმტკიცებული იქნეს მჭიდრო კავშირი კომკავშირის, პროფკავშირისა და პიონერ ორგანიზაციებთან.

6. გამომუშავებული იქნეს ნამდვილი ინსტრუქციები რემედასის სარევიზიო კომისიების მუშაობის შესახებ, რაც უნდა დაეგზავნოს ორგანიზაციებს რემედასის ყოველდღიურ მუშაობის გასაძლიერებლად.

7. რემედასის ორგანიზაციების მიღწევებში აღნიშნული 25% აყვანილი უნდა იქნეს სრულ 100%-დე ერ-

თიანი დღეების ჩატარების მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად.

8. სოციალისტურ აღმშენებლობაში რემედასის მონაწილეობის უმთავრეს მომენტებად უნდა ჩაითვალოს:

ა) საბჭოების, გლეხკომების, ქარხკომებისა და სხვ. გადარჩევის კომპანიებში მონაწილეობის მიღება. ადგილობრივ კომიტეტების ამოცანებს შეადგენს—ამ მუშაობაში მიიზიდოს რემედასის ორგანიზაციის ყველა აქტიური წევრები.

ბ) ხელი შეუწყოს რემედასის ორგანიზაციებში აქტიური მომუშავე ამხანაგების წამოყენებას.

გ) თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მიერ წამოყენებულ მუშაობაში მონაწილეობის მიზნით.

9. ყრილობა აღნიშნავს რა ცოცხალი კავშირის გაძლიერებას (მხედ. მიღ. ცირკულიარული წერილების გადაგზავნის შეკვეცა და ადგილებში მომუშავე რემედასის ძირითადი ორგანიზაციების მუშაობის დათვალიერება და გამოკვლევა) მომავალში აუცილებლად საჭიროა ეს მუშაობა უფრო გაძლიერებული იქნეს, მისი გეგმიანი წესით შემოღების საშვალებით.

10. ყურადღება მიექცეს შვებულ წითელ არმიელებში მუშაობის გაძლიერებას, მათი სოფლის პროპაგანდისტებად მომზადების მიზნით, რომლებსაც უნდა დაევალოს რემედასის იდეების აგიტაცია მშრომელთა ფართე მასებში. რემედასის იდეების პოპულიარიზაციისათვის გამოყენებული იქნეს წვევავამდე მოსამზადებელი პუნქტები და ბანაკი ამ მუშაობაში რემედასის სამოქალაქო ორგანიზაციებისა და უჯრედების ჩაბმით.

11. აღებულ იქნეს ხაზი რემედასის ორგანიზაციულ მუშაობაში ახალგაზრდობის ჩასაბმელად, მათვე უნდა დაეკისროს რემედასის მიერ ჩატარებულ ყველა დიდ კომპანიებში მონაწილეობის მიღება, სადაც აქტიურად უნდა სჩანდეს ახ. ლ. კ. კავშირი. ყოველგვარი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა ჩამოყალიბებული იქნეს ახალგაზრდათა, განსაკუთრებით ახ. ლ. კ. კ. რემედასის აქტივი.

12. მომავალში სამუშაო გეგმა უნდა იქნეს შედგენილი საკალენდრო წლის მიხედვით ე. ი. 1-ლ იანვრიდან 1-ლ ივლისამდე, 1-ლ ივლისიდან 1-ლ იანვრამდე. ანგარიშგებები კი უნდა იქნეს შედგენილი ყოველ ექვს თვეში ერთხელ.

VI. ფინანსიური საკითხების ირგვლივ.

1. ითვალისწინებს რა შემოსავლის სიმცირის გამო რემედასის ცეკას სახსრების არანორმალურ მდგომარეობას ყრილობა საკითხების შემდეგ წინადადებას აძლევს რემედასის ყველა ორგანიზაციებს:

ა) ჩატარებულ იქნეს კომპანიები როგორც საწევრო, ისე სხვა სახის დავალიანებათა დასაფარავად და მომავალში არავითარ შემთხვევაში არ იქნეს დაშვებული, როგორც კერძო პირებზე ისე ორგანიზაციებზე დავალიანებათა დაგროვება.

ბ) ყოველთვიურად გადაგზავნილი იქნეს ცენტრალურ კომიტეტში შემოსული თანხები ადგილობრივად საგრძნობი სახსრის დაუტოვებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მოგვარებულ იქნეს რემედასის სახსრების დაგროვება შემნახველ სალაროში, უჯრედების მიერ თავიანთი კომიტეტების მიმდინარე ანგარიშში მთელი შემოსავლის გადმოგზავნით.

2. ყურადღების მაქსიმუმი იქნეს მიქცეული ფინანსიურ საკითხებსა და ანგარიშგებას, ამავე დროს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ორგანიზაციის ფინანსიურ მუშაობაზე საზოგადო კონტროლის გაწევას.

3. ადგილებიდან შემოსავალი ცეკაში გროვდებოდა დიდი დაგვიანებით, რაც უმთავრესად აიხსნება ადგილებზე ხარჯთ-აღრიცხვის უქონლობით, ამიტომ წინადადება მიეცეს რემედასის ყველა ორგანიზაციებს თავიანთი ხარჯთ-აღრიცხვა დასამტკიცებლად დროზე წარმოადგინონ ცენტრალურ კომიტეტში.

4. ხარჯთ-აღრიცხვის დისციპლინის ცხოვრებაში გატარებით, არავითარ შემთხვევაში არ იქნეს დაშვებული ცეკას მიერ დაწესებული %% გადაჭარბება.

5. მიეცეს ადგილებს სათანადო დირექტივები საორგანიზაციო ფინანსიურ სექციის მუშაობათა გაძლიერების მიზნით ამ მუშაობის ჩატარებაში საერევიზიო კომისიების ჩაბმით.

6. გაგრძელდეს საწევრო ანარიცხების აკრება კვარტალურად, იმ პირთა და უჯრედების წინააღმდეგ, რომლებიც საწევრო გადასახადებს არ გადაიხდიან თავის დროზე წარმოებულ იქნეს ზნეობრივი ზეგავლენის მეთოდები—მათი სიის გამოქვეყნებით, საერთო კრებებზე გამოცხადებითა და სხვ. და სხვ

7. რემედასის საქართველოს ორგანიზაციების ცხოვრებაში შემოღებული და განხორციელებული იქნეს მიმდინარე წლის მეორე ნახევრიდან საწევრო ანარიცხების 4-ე ხარისხით აკრეფა (2 მ. წელიწადში) იმ პირებისაგან, რომლებიც თვიურ ხელფასს იღებენ არა ნაკლებ 150 მანეთისა.

8. დაევალოს რემედასის ცენტრალურ კომიტეტს სასტიკი ბრძოლა აწარმოოს ადგილების მიერ რემედასის სახსრების კომერციულ ოპერაციებისათვის გამოყენების წინააღმდეგ.

9. უჯრედებისათვის ანგარიშების დღემდე არსებულ ფორმები ცნობილი იქნას უვარგისად და მის ნაცვლად დაევალოს ცენტრალურ კომიტეტს შეიმუშაოს ახალი უფრო გამარტივებული ფორმები. ჟურნალ „რ ე მ ე დ ა ს შ ი“ სისტემატიურად შუქდებოდეს ფინანსიური მუშაობის საკითხები, ჟურნალში თავსდებოდეს აგრეთვე კვარტალურად ცეკას ბალანსისა და ხარჯთ აღრიცხვის ცხრილი.

რემედასის სრულიად საქართველოს მე-II-ე ყრილობა დარწმუნებულია, რომ ყველა ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა გატარებით უფრო ძლიერად განმტკიცდება რემემედასის ორგანიზაციები, რაც საშვალებას მისცემს ს. ს.რ. კავშირის მშრომელთ პირნათლად შეასრულონ თავიანთ მოვალეობა, საერთაშორისო კაპიტალისტური ყაჩაღების წინააღმდეგ მებრძოლ რევოლიუციონერებისა და მათი ოჯახების დახმარების საქმეში, რაც საბოლოოდ განამტკიცებს საერთაშორისო ოქტომბრის გამარჯვებას.

(გაგრძელება იქნება)

გახსოვდეთ კაპიტალის ციხეებში მოქცეული პოლიტ-პატიმრები

ამბ. ვასო ფარცვანიას გამოწვევით სადგურ ქუთაისის რემედასის სალაროში შემომაქვს 8 მანეთი და ამავე მიზნით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1. ტენია შავგულიძეს, 2. ალფეზ ლეჟავას, 3. თეოფილე ქოსრაშვილს, 4. ტრიფონ ჯიხორიძეს, 5. სამსონ ვახტანგაძეს, 6. გრიგოლ შავგულიძეს, 7. ევსტაფი შენგელიას, 8. ამბაკო მელაძეს, 9. კოწია ჭავჭანიძეს, 10. ანდრო ქაჯაიას, 11. თეოფილე ბელთაძეს, 12. ალიოშა ტაბლიევი, 13. რაჟდენ სინოურიძეს, 14. სამსონ ფოფხაძეს და 15. გრიგოლ კუპრაშვილს.

ბოგოლაშვილი.

ამბ. გიორგი ნემსაძის გამოწვევით სად. ქუთაისის რკინის გზის რემედასის უჯრედში შემომაქვს 8 მანეთი და ამავე მიზნით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1. პლატონ გაბუნიას, 2. იოსებ ბერძენიშვილს, 3. სიმონ ლუტიძეს, 4. პეტრე იაკოვლევს, 5. ალექსანდრე ბაბუნაიშვილს, 6. ლასი ჰეიშვილს, 7. გიორგი მაღლაკელიძეს, 8. კოსტა ვოლკოვს და 9. კოლია ტუეშელაშვილს.

ამბ. ვანო მხეიძის გამოწვევით რემედასის სასარგებლოთ შემომაქვს 5 მანეთი და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1. შ. მთვარელიძეს, 2. კოტე ელიოზიშვილს, 3. გაბო გვერდწითელს, 4. ვერა კოსტავას, 5. ალიოშა იოსელიანს, 6. დავით მაჭარაშვილს, 7. ალფერდ შეფს, 8. ნიკო გიორგაძეს, 9. 9. პეტრე ხოჯაშვილს, 10. ტიტიკო გურგენიძეს, და 11 ილო ჭილიტაურს.

ოქროპირ ფოცხიშვილი

ამბ. **სურმანიძის** გამოწვევით რევოლიუციისათვის მებრძოლთა დასახმარებლად შემომაქვს 5 მან. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1. **მამედ ციწაძეს** (ქედის აღმასკომის თავმჯდ. მოადგილე). 2. **მეჯიდ ტრიკიძეს** (ქედის სახ. სას. თავმჯდომარე), 3. **უსუფ ავალიანს** (ცხუმორ. თემის აღმასკ. თავმჯ.) და 4. **აბდულ ბერიძეს** (ცხუმ. თემის მაწავლებელი).

ზ. ბერიძე.

რემედასის სასარგებლოთ შემომაქვს 5 მანეთი და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1. ივანე გაბაშვილს, 2. გიორგი კალმახელიძეს, 3. ტატე ბუხრიკაძეს, 4. დათიკო ფანცულაიას, 5. ვასო მზარეულაშვილს, 6. პროკოფი კირვალიძეს, 7. ბაგრატ მაჩაიძეს და **8. ვასო ანთიძეს.**

პავლე მელაძე.

კაპიტალის ციხეებში მომწყვდეული ტყვე რევოლიუციონერების და მათი ცოლშვილის დასახმარებლათ, სად. ქუთაისის რკ. გზ. რემედასის რაიკომის სალაროში შემომაქვს 3 მანეთი და ამავე მიზნით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1. ვანო უგრეხელიძეს, 2. ვარლამ კოხრეიძეს, 3. ვასო ანტონიაძე გოგავას, 4. მანუელ დევდარიანს, 5. ქიშვარდი კოროშენიძეს, 6. სიმონ გურეშიძეს, 7. აპალონ დოღონაძეს, 8. სამსონ კლდიაშვილს, 9. ხარიტონ ნოსელიძეს, 10. ამბაკო მელაძეს. 11 თედორე შენგელიას, 12. ბაგრატ უგლავას, 13. ალექსანდრე კუკულავას, 14. კოლია კენჭოშვილს, 15. ვალიკო ლალიაშვილს, 16. გიორგი ნემსაძეს, 17. დიომიდე პაიჭაძეს, 18. უდრ. ლავრენტი ცანავას, 19. პავლე ხვადაგიანს, 20. გიორგი ათან. ცომაიას, 21. ილდკო ივანესძე კაჭარავას, 22. დიმიტრი ღოლაბერიძეს, 23. ვასო სუთიძეს, 24. მიშა ღოლობერიძეს 25. რაჟდენ ფიოლიას. 26. ნესტორ ბურჯანაძეს, 27. ნესტორ კოხრეიძეს, 28. სამსონ გოგოლაშვილს, 29. კოწია უგლავას, 30. ნიოფიტე რუხაძეს 31. დათიკო ლაკვეხელიანს და **32, ლევან სხირელს.**

ვასო ფარცვანია

მკითხველთა საყურადღებოთ!

ჩვენი ჟურნალი დღეიდან, როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში ეღირება 20 კაპ. ხელის მოწერის ახალი პირობები გამოქვეყნებული იქნება რემედასის ივნისის ნომერში.

შინაარსი: 1. რემედასის მეორე ყრილობა. 2. პირველი მაისის დღესასწაული ინგლისში — **ქ. დავიდ.** 3. მაქსიმ გორკი (მოკლე ბიოგრაფია) — **ა. ე.** 4. გრიგალას სიმღერა. 5. შევარდენის სიმღერა (ლეკსი პროზად) — **მაქსიმ გორკი.** 6. უდიდესი უსამართლობა — **ი. შაბსინი.** 7. გასტონ სოცი — **ადამ.** 8. ღია წერილი იტალიის ელჩს პარიზში — **მანრი ბარბიუსი.** 9. სად როგორ ჩატარდა 18 მარტის დღესასწაული (მიმოხილვა). 10. ჩვენი საქმიანობა — **ლ. მარუაშვილი.** 11. მადლობის ღირსნი არიან ასეთი მასწავლებლები — **ა. დუნიაშვილი.** 12. საჭიროა მეტი აქტივობა — **ნ. ფალავა.** 13. დაგვიარსეთ რემედასის უჯრედი — **პავლე ბლიაძე.** 14. აღარ სწარმოებს მუშაობა — **ბ — ლე.** 15. როგორ ემუშაობთ რემედასში — **ვლადიმერ კვინიკაძე.** 16. რემედასის II ყრილობის რეზოლიუციები და გამოწვევები.

გამოსცემლობა რემედასის ს. ც. კ.

პ/მგ. რედაქტორი თ. ელენტი.

სარედაქციო კოლეგია { 1. ალექსანდრე ქოიავა. 2. მიხ. ცქვიტინიძე 3. პოლიო აბრამია.

ტფილისი. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. ჰლეხ. ჰრ. № 91.

მთავარლ. № 974. შეკვ. № 1007. დაიბეჭდა 2500.

ფასი 20 კაპ.